# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 31 ოქტომბერი 2007 №252 (3175)  ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვისი ფარი

### საქართველო ევროპაში მარცხით დაბრუნდა

რუსთაველებმა ვერაფერი მოუხერხეს მფრინავი ამერიკელებით გაძლიერებულ ამსტერდამელებს — „ენერჯი-ინვესტმა“ ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი გუშინ სპორტის სასახლეში 77:87 წააგო.

ასე და ამგვარად, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ქართული კლუბის ევროსარბიელზე დაბრუნება წარუმატებელი გამოდგა.

დავით უსტიაშვილის გუნდი ახლახან გაძლიერდა ლეგიონერებით, რომელთაგან ერთ-ერთი, 213-სანტიმეტრიანი ანვარ ფერგიუსონი ვერაფერი ცენტრი გამოდგა. ამსტერდამელებმა, ასე ვთქვათ, ფარი დაგვიმალეს, რუსთაველებზე 20-ით მეტი ბურთი მოხსნეს და რომ არა უკანახაზელების გმირული თამაში, მორიგი სირცხვილი არ ასცდებოდა ქართულ კალათბურთს.

ყველა დაჩრდილა „ენერჯი-ინვესტის“ 23 წლის ამერიკელმა ბელტონ რივერსმა, რომელმაც ამსტერდამელებს 33 ქულა დაასეტყვა და ქართველებს წარმატების ნაპერწკალი ბოლო წუთებამდე რომ ულვივოდათ, უპირველესად მისი დამსახურებაა.

საპასუხო მატჩი 6 ნოემბერს ამსტერდამში გაიმართება და გამოუსწორებელი ოპტიმისტი უნდა იყო, ჰოლანდიის დედაქალაქში ათქულიანი მარცხით წასულს წარმატების იმედი რომ გქონდეს.




ანატოლი ბოისა ამსტერდამულ ალყაში



## სენეგალი ჩაიშალა!

დიდი შანსი იყო, 17 ნოემბერს საქართველოს ნაკრები საფრანგეთში ამხანაგურად სენეგალს გაეჯიბრებოდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავისი პირობები შესთავაზა აფრიკელებს, თუმც გუშინ, ფაქტობრივად, გადაწყდა, რომ საქართველო — სენეგალი აღარ შედგება.

„პირობებზე ვერ ვთანხმდებით და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მატჩი აღარ გაიმართება, თუმც ჩვენ ვაგრძელებთ საქართველოს ნაკრებისთვის მეტოქის ძებნას და 17 ნოემბერს ეროვნული ნაკრები მაინც ჩაატარებს ამხანაგურ მატჩს“ — გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

ახლა ჩვენებს სამი ვარიანტი დარჩათ: ბოსნია, იორდანია და ყატარი.

და ერთიც: 21 ნოემბერს ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი საქართველოსა და ლიტვას შორის ეროვნულ სტადიონზე 19.30 საათზე დაიწყება.

**ნუგზარი ლოლაძე**

## ბრაზილია! 2014

### ფიფამ თქვა ის, რაც მსოფლიოში ერთადერთია




გადაწყდა: 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს ბრაზილია უმასპინძლებს! ფიფას სხვა ვარიანტი არც ჰქონდა — ბრაზილია ერთადერთი კანდიდატი იყო და 1950 წლის მერე პირველად ჩაატარებს მუნდიალს. ბრაზილიელები 500 მილიონი გირვანქის დახარჯვას გეგმავენ საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად.

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეოთხე ტური

# თასის ცენტრი ჭიათურაშია


ბადრი კეთილაძის ფოტო

**დღეს-ხვალ დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის" გათამაშების ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩებია. რომელ ჯგუფში გაირკვენ შემდეგ ეტაპზე გამსვლელები? არც ერთში. სამი ტურია დარჩენილი და ჯერ ყველაფერი შეიძლება დატრიალდეს. ისე, ეროვნული ჩემპიონატისა არ იყოს, „ზესტაფონი" და „დინამო" თასზეც ყველაზე ყოჩაღად გამოიყურებიან...**

### A ჯგუფი

ჯგუფის ლიდერ-ფავორიტი „ამერი" ქუთაისში ჩავა და თუ მოიგებს, მეოთხედფინალსაც თითქმის გაინაღდებს. წინა ტურში „სპარტაკთან" მარცხი გლდანელებს სიფხიზლეს აიძულებს, რაკილა ქუთაისში თუ წაიფორხილებენ, მერე ახალციხეში „მესხეთთან" ელით ბრძოლა და რატომ უნდა მიიყვანონ საქმე აქამდე? „ტორპედო" კი სულაც არ არის მძლეთამძლე. ქუთაისს ასეთი სუსტი გუნდი ისტორიაში არ ჰყოლია და გლდანელების ვერმოგება, დიახაც, ძალიან გაგვიკვირდება.

გორში კი „სპარტაკი" მორიგი სენსაციის მოხდენას ეცდება: კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი იმ „მესხეთს" დაუხვდება, რომელსაც ჩემპიონატში მეკარე გიორგი სომხიშვილი გაუძევეს და დისკვალიფიცირებულია. ცხრილის მიხედვით, მოგება მასპინძლებს უფრო სჭირდებათ, თუმც ისიც ვთქვათ, რომ „მესხეთი" უკეთესი გუნდია.

ამ გუნდებს გორული საჩემპიონატო შეხვედრა ახალციხელებმა დავით ინასარიძის დუბლით მოუგეს.

### B ჯგუფი

დიდი ამბავი იქნება ხვალ ჭიათურაში: „დინამოს" უნდა დაუხვდნენ. მასპინძელი „მაღაროელი" კი ის გუნდია, რომელიც პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში დამაჯერებლად ლიდერობს, თასზეც უკვე სამი უმაღლესლიგელი დაჩოქა: „სიონს" ორი მატჩის ჯამში სულაც 6:2 სძლია, „ლოკომოტივს" 3:0 გადაურბინა, ამასწინათ კი „ვიტ ჯორჯიას" მცხეთაში წაქცევაც გაბედა.

ზემოიმერლები ჯგუფში მეორე ადგილზე არიან 6 ქულით, დინამოელებს კი სამიდან სამი მოგება აქვთ. ამ გუნდების თბილისურ მატჩში დუშან უჰრინის ბიჭებმა 2:0 იმარჯვეს, თუმც შინ და სტუმრად თამაში, მგონი, გაუყვია ერთმანეთს. თუმც იმაზე არავინ დავობს, რომ გიორგი მერებაშვილით, ჟორჟ აკირემით, ილია სპასოევიჩით, მიხეილ ხუციშვილით გოლმაძლარი „დინამო" ფავორიტია.

ამავე ჯგუფში უქულო „ლოკომოტივი" „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს. ვაკელებს ბოლო ორ სათასო შეხვედრაში 5 ფეხბურთელი გაუძევეს და შედეგიც შესაბამისი აქვთ. ვიტელებს კი სამი ქულა სწორედ გიორგი კიკნაძის გუნდთან აქვთ ალებული.

### C ჯგუფი

პირველ ტურში „მერანმა" „ოლიმპს" სენსაციურად სძლია სტუმრად, დღეს კი ისინი თბილისში შეერკინებიან ერთმანეთს. ალბათ, ყველაზე რთულად ამ ჯგუფშია საქმე, რადგან სამ გუნდს მეოთხედფინალში გასვლის თანაბარი შანსი აქვს: „მერან"-„ოლიმპის" გარდა, „ბორჯომიც" ხომ თამაშობს, რომელიც ბათუმში ჩავა, ზღვისპირელებთან კი, დიდი თუ პატარა, ყველა იგებს.

გეხსომებათ, „ოლიმპი" შარშან ჯგუფში ჩარჩა და არა გვგონია, იმავეს გამეორება ხიბლავდეს.

### D ჯგუფი

სათასო რვამატჩეულიდან ერთი დღესაა და სწორედ ამ ჯგუფისაა: „დილა" იმ „მგლებს" მასპინძლობს, რომელსაც ზუგდიდში ქულა ააცალა. თუმც „მგლები" ისეთი ჯაბანი არ არის, ჯგუფიდან ვერგასვლისთვის განწირული იყოს — ზუგდიდელები უკვე იყვნენ გორში, საჩემპიონატო თამაშში 3:1 იმარჯვეს.

ხვალ კი თელავში „კახეთი" — „ზესტაფონია".

ვეება განსხვავებაა ამ გუნდებში და ძალიან გაგვიკვირდება, მასპინძლებმა რამე პრობლემა შეუქმნან ფეროლელებს. „კახეთი" ხომ პირველ ლიგაშიც კი საშუალო დონეზე დაეშვა...

**ილია ნანობაშვილი**

გორი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე

**დილა გორი — მგლები ზუგდიდი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია; ო. ხეცაძე

გორი. 1 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე

**სპარტაკი ცხინვალი — მესხეთი ახალციხე**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ფიფია; ა. ნონიკაშვილი

ქუთაისი. 1 ნოემბერი. 14 საათი. ტორპედო

**ტორპედო ქუთაისი — ამერი თბილისი**

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; ზ. ხუციშვილი, კ. ტეფნაძე; ვ. გუმბერიძე

თბილისი. 1 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი თბილისი — ვიტ ჯორჯია თბილისი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. ასკაროვლი; მ. ურუშაძე

ჭიათურა. 1 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური

**მაღაროელი ჭიათურა — დინამო თბილისი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ლ. მიქელაძე; ა. კოკაია; გ. დორგაშვილი

თბილისი. 1 ნოემბერი. 14 საათი. მერანი

**მერანი თბილისი — ოლიმპი რუსთავი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; გ. ჩიგოგიძე. ო. მოლოდინაშვილი; კ. ჭაჭუა

ბათუმი. 1 ნოემბერი. 14 საათი. ადელი

**ბათუმი — ბორჯომი**

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; კ. გაბრიაძე, ე. ნარმანია; ზვ. ასკაროვლი

თელავი. 1 ნოემბერი. 14 საათი. გ. ჩოხელი

**კახეთი თელავი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; დ. კურტანიძე, გ. ყრუაშვილი; ლ. ფანიაშვილი

**დისკვალიფიცირებულნი:**

„მგლები" — ლევან კუტალია; „ბათუმი" — ირაკლი ცანავა; „ლოკომოტივი" — დავით გვარამაძე, ალექსანდრე ლალაძე; „მერანი" — თემურ ფურთუხია; „მესხეთი" — გიგა ჟვანია, გიორგი სომხიშვილი; „დილა" — ბექა ჩიტაია; „ბორჯომი" — ლევან მერებაშვილი, შოთა გრიგალაშვილი

| A ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 11:3 | 6 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ტორპედო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:12 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| მაღაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:4 | 7 |
| დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| მგლები | 3 | 1 | 1 | 1 | 7:8 | 4 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

## თვალი თვალი


ბადრი კეთილაძის ფოტო

*მოედანს მორწყვა დიახაც, სჭირდება, ოღონდ აქ სულ სხვა ამბავია. ზუგდიდში „მგლებისა" და „ამერის" მატჩის წინ სტუმრებს ერთ-ერთი საჯარიმო მოედანი თვალში ეპატარავათ და რომ გადაამოწმეს, მართლებიც გამოდგნენ.*

*ჰოდა, სანამ ახალი ზოლი გაივლებოდა, ძველი უნდა წაშლილიყო და ფოტოზეც ეს არის აღბეჭდილი — დაცარცულ ბალახს წყალზე უკეთ რა წაშლის.*

## საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1991 წელს დაბადებულები**

პირველი წრე

დასავლეთი ზონა

მართვე 1:0 მგლები

ზესტაფონი 8:1 მესხეთი

ბათუმი 1:0 ბორჯომი

სპარტაკი 1:1 დილა

აღმოსავლეთი ზონა

ლოკომოტივი 1:1 ნ. დინამოელი

**1992 წელს დაბადებულები**

პირველი წრე

დასავლეთი ზონა

მართვე 2:0 მგლები

ზესტაფონი 5:1 მესხეთი

ბათუმი 5:1 ბორჯომი

სპარტაკი 1:5 დილა

ცენტრალური ზონა

გადადებული მატჩი

ოლიმპიკი 4:1 იმედი

## ინგლისი

**I ლიგა. გადადებული მატჩი**

ნოტინგემი 0:0 ოლდემი

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

ქოვენთრი 1:2 ვესტ ჰემი

## იტალია

**სერია B. XII ტური**

აველინო 3:2 რავენა

კიევო 0:1 ალბინოლეფე

ლეჩე 1:1 გროსეტო

მანტოვა 4:1 ჩეზენა

მესინა 0:2 ვიჩენცა

პიზა 3:3 მოდენა

რიმინი 0:1 პიაჩენცა

სპეცია 1:0 ბრეშა

ტრევიზო 2:1 ფროზინონე

ტრიესტინა 1:1 ბარი

ბოლონია — ასკოლი გადაიდო

## ჰოლანდია

**თასის 1/16 ფინალი**

კამბური 1:2 ექსელსიორი

ეინდჰოვენი 1:3დ.დ. (1:1) ჰაარლემი

ზვოლე 1:0 იგლსი

სიტარდი 1:3 დენ ბოსხი

ჰერაკლესი 3:0 ალმერე

HHC 0:1 აპელდორნი

მაასტრიხტი 1:3 დორდრეხტი

როდა 3:2დ.დ. (2:2) გრააფსხაპი

## რუმინეთი

**I ლიგა. გადადებული მატჩი**

გლორია 3:2 უნივერსიტატეა

## ავსტრია

**ბუნდესლიგა. XVII ტური**

ზალცბურგი 2:1 რაპიდი

**I დივიზიონი. XV ტური**

შვადორფი 3:2 ზალცბურგი (მ)

ლუშტენაუ 4:1 პარნდორფი

კაპფენბერგი 4:1 კერნტენი

შვანენშტადტი 0:0 გრატკორნი

ბად აუზეე 0:1 აუსტრია (ლ)

## გერმანია

**თასის 1/16 ფინალი**

ალემანია 3:2 ბოხუმი

ჰანზა 6:0 ოფენბახი

ჰოფენჰაიმი 2:1 ფიურტი

კარლსრუე 0:1 ვოლფსბურგი

მიუნხენი 2:1 მაინცი

შალკე 2:0დ.დ. (0:0) ჰანოვერი

ვერდერი (მ) 2:2დ.დ. (4:2პ) ზანქტ პაული

ვუპერტალი 2:0 ჰერტა

## საფრანგეთი

**ლიგის თასი**

**1/8 ფინალი**

ოსერი 6:2დ.დ. (2:2) ნიცა

ნანსი 1:0 ამიენი

მარსელი 2:2დ.დ. (5:4პ, 1:1) მეცი

## პოლონეთი

**თასის I ეტაპი**

სტალი 1:3 გროცლინი

ოპოლე 0:2 ზაგლებე

რუხი 1:0 ვიძევი

პოლონია 3:1 კორონა



კოტე გაბაშვილი (შუაში)



# ჯადოსნური ჯოხი არავის აქვს
## უვიცი მწვრთნელები მომავალს კლავენ

**ბოლო პერიოდში ფეხბურთისადმი და საერთოდ, სპორტისადმი მნიშვნელოვნად გააძლიერა ყურადღება სახელმწიფომ. უკვე წარმოადგინეს პროგრამაც, რომლის განხორციელება, იმედია, სულ მალე დაიწყება და ასეთ შემთხვევაში, არ შეიძლება, წინსვლა არ ვიგრძნოთ. ამ პროგამისა და საერთოდ, ქართულ ფეხბურთის თაობაზე საქართველოს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გიორგი გაბაშვილს ვესაუბრეთ. ჩვენი შეხვედრა „ოლიმპის" ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში შედგა, სადაც მინისტრი ძმიშვილის თამაშს უყურებდა...**

— ახლახან საგურამოში ფეხბურთის, რაგბისა და სპორტული უმაღლესი განათლების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა წარადგინა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ამ პროგრამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს თქვენი აზრიც...

— ეს უმნიშვნელოვანესი პროგრამაა. საქართველოში განვითარდება საფეხბურთო და სარაგბო ინფრასტრუქტურა, მხოლოდ თბილისში კი არა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. გაკეთდება უეფას სტანდარტის რვა სტადიონი, სარაგბო ბაზები და სკოლები. ამ სახეობების ფედერაციებს სახელმწიფო ფინანსურადაც დაეხმარება.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებს თუ ესწრებით და რას იტყვით დონეზე?

— ნელ-ნელა წინსვლა იგრძნობა და ეს უახლოეს მომავალში კიდევ უფრო თვალში საცემი გახდება. პრემიალური ფონდი იზრდება და გუნდებსაც მეტი მოტივაცია ექნებათ. მალე რვა კლუბი კერძო ინვესტორების ხელში გადავა, გარანტირების მყარი ბიუჯეტით. ეს კი აუცილებლად დადებითად იმოქმედებს ეროვნული ჩემპიონატის დონეზე.

— რომელიმე ინვესტორის ვინაობა ხომ არ არის ცნობილი?

— ამას ამ წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში შეიტყობთ. ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით.

— საქართველოს ნაკრებმა ეს შესარჩევი ციკლი თითქმის ჩაამთავრა. როგორ აფასებთ ჩვენი ნაკრების თამაშს?

— ჩემი აზრით, მხოლოდ ორ მატჩში იყო საქართველოს ნაკრები უშანსოდ და ორჯერვე ფრანგებთან. ხომ გახსოვთ, როგორ დავმარცხდით სტუმრად უკრაინასთან და შოტლანდიასთან: იმ შეხვედრებშიც გამოჩნდა გარკვეული მონახაზი, რომ ნაკრები სწორ გზაზე იდგა. ყველაფრის გაკეთებას დრო უნდა, ჯადოსნური ჯოხი არავის აქვს, რომ აიქნიოს და საქმე უცბად გაკეთდეს. ეს შოტლანდიასთან შინ გამარჯვებულმა მატჩმაც დაადასტურა.

— კლაუს ტოპმიოლერის ხელში ჩვენმა ნაკრებმა ალბათ ყველაზე კარგი მატჩი შინ სწორედ შოტლანდიასთან ითამაშა...

— ჩვენ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ვნახეთ. გამოჩნდა მწვრთნელთა მუშაობა. ტოპმიოლერმა რისკიანი გადაწყვეტილებები მიიღო, როცა სამი 17 წლის ფეხბურთელი დააყენა ძირითადში, მაგრამ ყველამ ვნახეთ, ამ ბიჭებმა როგორ გაამართლეს.

— **როგორც ვიცით, უკვე გადაწყვეტილია, რომ ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებთან გააგრძელებს მუშაობას...**

— მეც ასე ვიცი, რომ ფეხბურთის ფედერაცია მას ახალ კონტრაქტს აუცილებლად შესთავაზებს.

— **ამ გადასახედიდან რამდენად რეალურია, რომ ჩვენმა ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებას მიაღწიოს?**

— ჩვენი ერთადერთი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება იქნება და, ვფიქრობ, ეს სულაც არ არის ჰრარეალური.

— **თქვენ ფედერაციის აღმასკომის წევრიც ხართ და ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებსაც უნდა გაუგრძელდეთ კონტრაქტები?**

— ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციაში იმსჯელებენ. ჩვენი სამინისტრო და ფედერაცია აქტიურად კი ვთანამშრომლობთ, თუმც ის დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და გადაწყვეტილებასაც დამოუკიდებლად მიიღებს.

— **ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— საქართველოში უკვე ბევრი კერძო სკოლაა და ნელ-ნელა სწორი გზით მიდიან. დიდი პრობლემა კი ის არის, რომ სათამაშო მინდვრების ნაკლებობაა და კვალიფიციური მწვრთნელებიც ძალიან ცოტანი არიან. როგორც ვიცი, ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობენ ახალ პროგრამაზე და აუცილებლად გამკაცრდება მწვრთნელთა ლიცენზირება. აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს მწვრთნელთა საქმიანობა, როგორც ბავშვებში, ასევე დიდ გუნდებშიც. არაკვალიფიციური მწვრთნელები პატარებს მომავალს უსპობენ. წარმოიდგინეთ, მან ისიც კი არ იცის, როგორ დატვირთოს მოზარდი. მწვრთნელი მედიცინაშიც უნდა ერკვეოდეს... სამწუხაროდ, ასეთების ხელში ბავშვი არასწორად იზრდება, შემდეგ კი ამის გამო მთელი კარიერა ტრავმები სტანჯავს.

— აგერ, ახლა თქვენი ძმისშვილის, კოტეს თამაშს ადევნებთ თვალყურს...

— იგი ჯერ 15 წლისაა. საკმაოდ პერსპექტიული თავდამსხმელია და თუ ბევრს იშრომებს, მწამს, კარგი ფეხბურთელი დადგება. მთელ ოჯახს გვსურს, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს და ვნახოთ, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

**ნუკრი ლოლაძე**

# ყენიამ შალკეში დაიწყო



**ლევან ყენიამ** „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში ვარჯიში დაიწყო და არ არის გამორიცხული, ამ ასაკის ბუნდესლიგის უახლოეს მატჩშიც ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, იგი უკვე „შალკეს" სრულფასოვანი წევრია.

საქართველოს ეროვნული ნაკრების 17 წლის შემტევს გელზენკირხენში ბიძა, თბილისის „ლოკომოტივის" თავკაცი გიორგი ჯიქიძე ახლავს.

გერმანულ პრესაში კი წავაწყდით ცნობებს, „შალკეს" 19-წლამდელებმა ორი სუპერტალანტი შეიმატესო — ლევან ყენიასა და მავან ქელკო ჟევეტიჩზეა საუბარი.

პატარა შალკელებს „ხუმრების" თავკაცი მირკო სლომკაც ადევნებს თვალყურს, იგი ლამის ყველა მატჩს ესწრება და მოკლედ, ახლა ყველაფერი ყენიას ხელშია.

**ილია ნანოგაშვილი**

# ოლიმპს მეტოქეები დაუკენჭეს

**თანამეგობრობის** თასი ის ტურნირია, რომელსაც ხან ფიფას, ხანაც უეფას პრეზიდენტი ესწრება, თუმც პრესტიჟი ვერა და ვერ მოიპოვა. საერთოდ, ეს ტურნირი უფრო ფეხბურთელთა ბაზრობად განიხილება — იაფად შეიძლება ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშის შეძენა და ამიტომაც, ზოგჯერ ცნობილი კლუბის სკაუტიც შეავლებენ ხოლმე თვალს მოსკოვის მანეჟს.

2008 წელს კი თანამეგობრობის თასი პირველად ჩატარდება სანკტ პეტერბურგში — 19-27 იანვარს. საქმე ისაა, რომ ამ დღეებში მოსკოვში ბურთიან ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება და სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკი" დაკავებული იქნება.

გუშინ კი თანამეგობრობის თასის კენჭისყრა შედგა: საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი" C ჯგუფში ლატვიის, სერბეთისა და ყირგიზეთის ჩემპიონებთან მოხვდა. „ოლიმპის" ორი მეტოქე უკვე ცნობილია — სერბეთს ბელგრადის ოფკ წარადგენს, ყირგიზეთს — „დორდოი-დინამო". ლატვიის ჩემპიონი კი კვირას გაირკვევა და, სავარაუდოდ, ეს „ვენტსპილსი" იქნება.

ოფკ სერბეთის პირველადგილოსანი არაა, უბრალოდ, მიწვეულია ტურნირზე.

შეგახსენებთ, 16 გუნდი 4 ჯგუფად განაწილდება და ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ადამია ნეფთჩის ტოვებს

**„ნეფთჩიში"** ჩეხი ვლასტიმილ პეტრჟელას დანიშვნის შემდეგ გიორგი ადამია არცთუ ხშირად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, არადა, იგი „მენავთობეების" სული და გული იყო.

როგორც გაირკვა, პეტრჟელა ზამთარში რადიკალურ ცვლილებებს გეგმავს, ახალი გუნდი უნდა გააკეთოს და აზერბაიჯანული პრესის ცნობით, შესაძლოა, ადამიას ბაქოდან წასვლამაც მოუწიოს.

ადამია „ნეფთჩის" ბოლო მატჩშიც შეცვლაზე შევიდა და მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშა.

თავად გიორგიმ ადრე გვითხრა, არ არის გამორიცხული, „ნეფჩიდან" წავიდე, რამდენიმე წინადადება მექნება და ავწონ-დავწონიო.

**ლუკა თალაკვაძე**

# პირველი ლიგა

## აღმოსავლეთი

**დინამო 2 0:0 ნ. დინამო-მერანი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 11 | 6 | 4 | 1 | 21:16 | 22 |
| მეშაქრე | 11 | 6 | 2 | 3 | 22:15 | 20 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 4 | 2 | 16:7 | 19 |
| დინამო 2 | 10 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 16 |
| ოლიმპი 2 | 10 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 15 |
| ჩიხურა | 11 | 4 | 3 | 4 | 11:15 | 15 |
| ამერი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 17:20 | 14 |
| ოლიმპიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:18 | 12 |
| კახეთი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:15 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 11 | 0 | 2 | 9 | 7:25 | 2 |

# ევროპიდან მსოფლიომდე

## ფრანს ფუტბოლი გეოგრაფიას აფართოვებს

თავიდან ყველაფერი უფრო მოკრძალებულად დაიწყო. 1956-დან 1994 წლამდე „ოქროს ბურთი“ მხოლოდ ევროპულ ლიგაში მოთამაშე ევროპელ ფეხბურთელს ერგებოდა.

მერე გეოგრაფია გაფართოვდა და ფეხბურთელის ეროვნული ნიშნით შეზღუდვა გაუქმდა, თუმცა იყო მოთხოვნა, რომ ასარჩევ სიაში მოხვედრილი მოთამაშე აუცილებლად ევროპული ლიგიდან უნდა ყოფილიყო.

ასე გაგრძელდა 12 წელიწადს, 2006 წლამდე.

ახლა კი „ფრანს ფუტბოლი“ ყოველგვარ შეზღუდვას ხსნის: მსოფლიოს ნებისმიერი ფეხბურთელი, მსოფლიოს ნებისმიერი ლიგიდან!

FRANCE football

4 დეკემბერს „ფრანს ფუტბოლი“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობას გაამჟღავნებს. დიახ, მსოფლიოს და არა ევროპის, როგორც ეს აქამდე იყო. შედეგთა გამოცხადებამდე კი თვეზე მეტია დარჩენილი, თუმცა „ფრანს ფუტბოლის“ ოფისში მონაცემები უკვე შეგროვებულია — მათ შორის, საუკეთესოთა ქართული ვერსიაც, რომელიც „სარბიელიდან“ გაიგზავნა და რომლის გამხელისგანაც, „ფრანს ფუტბოლისავე“ თხოვნით, თავს ვიკავებთ...



### დიდი ჟიური

„ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ გამომცემელთა გამოკითხვაა.

უეფას წევრი ქვეყნებიდან „ფრანს ფუტბოლს“ თითო გამომცემელი ან რედაქტორი ჰყავს შერჩეული პარტნიორად.

იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის მერე უეფას ახალი ქვეყნები რომ შეემატნენ, შესაბამისად, ჟიურის წევრთა სიაც გაფართოვდა, ახლა კი, 2007 წლიდან, „ფრანს ფუტბოლმა“, ახალი პოლიტიკის შესაბამისად, არაევროპელი პარტნიორებიც შეიმატა. ევროპელებს იმ ქვეყნების გამომცემელ-რედაქტორები შეემატნენ, რომელთა ნაკრებებსაც თუნდაც ერთხელ უთამაშიათ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ამგვარად, ჟიურის წევრთა რაოდენობა 44-ით გაიზარდა და 96 გახდა. ხოლო „ოქროს ბურთი“ ევროპულიდან მსოფლიო ჯილდომდე „გაიზარდა“.

### ჩვენ

ინგლისიდან „ფრანს ფუტბოლის“ პარტნიორი „ტელეგრაფის“ შეფი ჰენრი ვინტერია. იტალიას რობერტო ბეკანტონი წარადგენს „ლა სტამპადან“. ესპანეთიდან „ელ მუნდო დეპორტივოს“ გამომცემელი პაკო აგილარია. საფრანგეთს, ცხადია, „ფრანს ფუტბოლი“ წარმოადგენს, ჟერარ ერნოლის სახით.

96-ივე გამომცემელს აქ ვერ ჩამოვთვლით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი კი ვთქვათ: საქართველოს „სარბიელის“ გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია წარადგენს. ეს პარტნიორობა კი 1994 წლიდან იღებს სათავეს.

### როგორ ვირჩევთ

სისტემა ასეთია: „ფრანს ფუტბოლი“ ჟიურის წევრებს საკუთარი გემოვნებით შედგენილ 50-კაციან სიას უგზავნის, რომელთაგან 96-მა გამომცემელმა საკუთარი ხუთეული უნდა შეარჩიოს და პარიზის ოფისში გააგზავნოს. რჩეულებს, შესაბამისად, 5, 4, 3, 2 და 1 ქულა ეწერებათ და ჯამში მეტი ქულა ვისაც დაუგროვდება, „ოქროს ბურთის“ მფლობელიც ის არის.

და რა ხდება, თუ ორი ან მეტი ფეხბურთელი ხმათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს? ამ შემთხვევაში „ფრანს ფუტბოლი“ პარტნიორ გამომცემლებს ეგრეთ წოდებულ მეორე ტურს შესთავაზებს.

### ვის ვირჩევთ

ჟიურის წევრი არჩევანში შეზღუდულია. უფრო სწორად, ერთადერთი შეზღუდვა ის არის, რომ წინასწარვე შედგენილ 50-კაციან სიას არ უნდა გასცდეს. სხვა მხრივ, არჩევანი პირადი გემოვნებითა და სურვილით შეუძლია გააკეთოს. თუმცა „ფრანს ფუტბოლი“ ჟიურის წევრებს რეკომენდაციის სახით სთავაზობს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებაც სასურველია არჩევანის გაკეთებისას.

ეს კრიტერიუმებია: ფეხბურთელის თამაშის ხარისხი; მისი გუნდის შედეგები და ტიტულები; ფეირ პლეის პრინციპებისადმი ერთგულება; მიღწევები კარიერაში; პიროვნული თვისებები.

და ერთიც: „ფრანს ფუტბოლი“ პარტნიორებს სთხოვს, არჩევანი კალენდარული წლის შედეგების მიხედვით გააკეთოს და არა საფეხბურთო სეზონის მიხედვით.

# ჯიქიამ სამეულს და თასს დაუმიზნა

რუსთავის „ოლიმპი“ რევაზ ჯიქიასთვის მეოთხე ქართული კლუბია. მანამდე რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულ თავდამსხმელს ქუთაისის „ტორპედოში“, „ბათუმსა“ და „ბორჯომში“ უთამაშია. ჯიქია პირველად ეროვნულ ჩემპიონატში 2005 წელს გამოჩნდა და იმავე წელს მედალიც ერგო — „ტორპედო“ მეორე ადგილზე გავიდა. შემდეგ კი „ტორპედოს“ და ჯიქიას საქმეები აერიათ — გუნდს ფინანსურად გაუჭირდა, ჯიქიას კი ისეთ კლუბებში მოუწია თამაშმა, რომლებსაც ელიტაში დარჩენისთვის უწევდათ ბრძოლა, თავად ფეხბურთელიც ვერ იყო სათანადო ფორმაში...

წლეულს სიტუაცია შეიცვალა: მიმდინარე სეზონი ჯიქიას ზუგდიდის „მგლებში“ უნდა დაეწყო, მაგრამ ზედ სტარტის წინ მოქმედ ჩემპიონ „ოლიმპში“ აღმოჩნდა და უნდა ითქვას, ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. ჯიქიას გოლებიც გააქვს: უკვე ხუთი მოუგროვდა, რაც მთლიანად გუნდის გატანილი გოლების რაოდენობის ნახევარზე მეტია. ამასთან კარგი თამაშით სპეციალისტების ყურადღებასაც ხშირად იპყრობს და რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

ჯიქიასთან საუბარი სეზონისწინა ტრანსფერით დავიწყეთ...




— მოსამზადებელი ეტაპი „მგლებში“ გაიარე, სეზონი კი რუსთავულ კლუბში დაიწყე, რა იყო ამის მიზეზი?

— თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ სეზონს „მგლებში“ ვითამაშებდი, მაგრამ „მგლები“ — „ოლიმპის“ ამხანაგური მატჩისას ჩემი თამაში ზურაბ ჯაფარიძეს მოეწონა. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა „მგლების“ პრეზიდენტთან და ორივე მხარე „ოლიმპში“ ჩემ გადასვლაზე შეთანხმდა.

— „ოლიმპი“ ჩემპიონია, წლეულს კი სეზონი სუსტად დაიწყო. რა მიზნებია დასახული და შენი აზრით, რა იქნება გუნდისთვის მაქსიმუმი?

— აქ კარგი ატმოსფეროა, მეგობრული. სეზონი ცოტა უიღბლოდ დავიწყეთ. იყო რამდენიმე თამაში, სადაც სამი ქულა გვეკუთვნოდა და ვერ ავიღეთ. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ გუნდი მოუმატებს. ჩემპიონობის შენარჩუნება ალბათ გაგვიჭირდება, თუმც „ოლიმპს“ თავისუფლად შეუძლია, მესამე ადგილისთვის იბრძოლოს, ამასთან არც საქართველოს თასის მოგებაზე ვიტყვით უარს.

— ანატოლი პისკოვეცზე რას იტყვი, როგორი მწვრთნელია?

— რუსეთში და უკრაინაში მომუშავე მწვრთნელების სათამაშო თუ თეორიული მონახაზი კარგად ვიცი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, პისკოვეცი კარგი მწვრთნელია, თან შესანიშნავი პიროვნებაა.

— სამი წელი ხდება, რაც საქართველოში თამაშობ და ქართულ ფეხბურთს უკვე იცნობ. რა შეიცვალა ამ მოკლე დროში?

— ბევრი არაფერი, მაგრამ ნელ-ნელა ჩემპიონატის დონე მატულობს. იმატა კონკურენციამ, თამაშების ხარისხმა, მაყურებელმა... თუმც ეს საკმარისი არ არის, კიდევ მეტია საჭირო. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ კლუბების ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის, თანხები მიზერულია, სხვა ქვეყნის კლუბებთან შედარებით კი სასაცილო.

— იმ გუნდებიდან, რომლებშიც საქართველოში გითამაშია, რომელს გამოარჩევდი?

— ჩემი პირველი გუნდი „ტორპედო“ მართლაც საუკეთესო იყო. გუნდთანაც და ქალაქთანაც კარგი მოგონებები მაკავშირებს. იქ რომ სიტუაცია არ არეულიყო, „ტორპედო“ ახლაც ძლიერი გუნდი იქნებოდა. მე იქ ქართულ კარიერაში საუკეთესო ფეხბურთი ვითამაშე.

— წლეულსაც კარგად გამოიყურები, ურიგო სეზონი არც ახლა უნდა გქონდეს...

— კარგად დავიწყე, მაგრამ იმ ფორმაში ჯერ არ ვარ, როგორშიც აქ ჩამოსვლისას ვიყავი. თუმცა მჯერა, რომ კიდევ მოვუმატებ და ჩემთვის სასურველ ფორმას დავიბრუნებ.

— ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეულ ფეხბურთელებს ნაკრებიდან უკვე მეტი ყურადღება ეთმობათ. შენ რუსეთის მოქალაქე ხარ, მაგრამ...

— ჯერ არავის მოუმართავს და თუ ეს მოხდა და დამიძახეს, საქართველოს ნაკრებისთვის მუდამ მზად ვიქნები.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იმპერიის დაცემა

## ამონაწერი რიდსდეილის წიგნიდან

**შენ** დაუკარ: „ლიდს იუნაიტედის“ ყოფილმა თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი United We Fall, რომლის თავებიც, სარეკლამო მოსაზრებებით, „სანში“ იბეჭდება და ერთ-ერთ თავში რიო ფერდინანდის „ვესტ ჰემიდან“ გადაბირების ამბავია მოთხრობილი — თურმე მწვრთნელი დევიდ ოლირი „ლიდსის“ დირექტორატის ზურგსუკან გარიგებია ნორვეგიელ აგენტ რუნე ჰაუგეს, რომელსაც ამ 18-მილიონიანი საქმიდან 1,75 მილიონი გირვანქა დარჩენია.

როგორია დირექტორატის ზურგსუკან 18 მილიონი გირვანქით თამაში?

რიდსდეილი იფიცება, რომ ოლირი პირადად არის დამნაშავე ამ ისტორიაში — საქმე რომ მოკვარახჭინდა და ფერდინანდი „ლიდსმა“ ოფიციალურადაც იყიდა, ჰაუგემ კლუბს უკვე ლეგალურად მიმართა ჩემი პროცენტი მომეცითო და დამატებითი ფული მიითვისა.

„რუნე ჰაუგეს ფეხბურთელების ყიდვის უფლება ოლირის ხელმოწერიანი ფურცლის ძალით ჰქონდა — წერს რიდსდეილი, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ნორვეგიელი თაღლითისთვის ზედმეტი უფლებების მინიჭებაში სდებდნენ ბრალს — დევიდმა ეს ხელმოწერიანი ფურცელი 2000 წლის 15 მაისს შეადგინა, სამი თვის შემდეგ კი პინი ზაჰავიმ მითხრა, რომ რიოს ჩვენთან სურს გადმოსვლა. ფერდინანდი კიდევ სამი თვის შემდეგ გადმოვიყვანეთ. დევიდმა ჰაუგე ჩემი და დირექტორატის თანხმობის გარეშე დაიქირავა. ჩვენ საქმის კურსში საერთოდ არ ჩავუყენებივართ. ჩვენი ფაქსი ჰაუგეს ოფისში გუნდის ბაზიდან მივიდა და არა „ელანდ როუდზე“ მდებარე ჩემი კაბინეტიდან, შესაბამისად, ნორვეგიელს „ლიდს იუნაიტედი“ სულ რომ გაეძარცვა, ხმას ვერავინ ამოიღებდა, რადგან მისთვის ამის უფლება ოლირის ოფიციალურად ჰქონდა მიცემული...

...„ვესტ ჰემთან“ რიო ფერდინანდის საქმე როგორც კი მოვაგვარეთ, აქცენტი იმწუთასვე აგენტისთვის გადასახდელ საკომისიო თანხაზე გადავიდა. და რატომ მისცა დევიდმა ჰაუგეს ექსკლუზიური უფლებები თავმჯდომარისა და დირექტორატის საქმის კურსში ჩაყენების გარეშე? ამაზე გამართული პასუხი დღემდე ვერ მიპოვნია. მე გარშემო დირექტორები მეხვია, ჩვენ ორგანიზაცია ვიყავით და ერთი კაცი ვერანაირ გაადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი...

...ნამდვილად არ მინდა იმის თქმა, რომ დევიდი რაიმე არალეგალურ საქმეებში იყო გარეული, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, „ლიდს იუნაიტედში“ ტრანსფერები, აი, ასე ხორციელდებოდა“.

არადა, გახსოვთ რა მშვენიერი გუნდი იყო იმ პერიოდის „ლიდს იუნაიტედი“? ლიდსელმა ახალგაზრდებმა მაშინ დიდი სენსაცია მოახდინეს და მთელ ევროპაში შეიძინეს მხარდამჭერები, თუმცა, როგორც ირკვევა, ყველაფერი მთლად საათივითაც არ ყოფილა აწყობილი. გარდა ზემოთქმულისა, რიდსდეილი იმასაც ამტკიცებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სწორედ დევიდ ოლირის გამო განაცხადა უარი ერთბაშად ათმა ფეხბურთელმა „ლიდსში“ თამაშზე. რიდსდეილი ამბობს, რომ ოლირი ბოლომდე ვერ ხვდებოდა, რამხელა წინააღმდეგობას იწვევდა მისი ქცევა კლუბში, ყველაფერი კი მეკარე პოლ რობინსონის სათადარიგოთა სკამზე დასმით დაწყებულა.

„პირველი ბზარი 2001 წლის იანვარში გაჩნდა, როდესაც ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ლივერპულს“ შევხვდით — წერს რიდსდეილი — გუნდი უკვე სასტუმროდან „ელანდ როუდისკენ“ გადიოდა, როდესაც პოლ რობინსონისკენ გავიხედე და დავინახე, რომ სახე ჩამოსტიროდა. მივუახლოვდი და ვცადე, მკლავზე ხელი მომეკიდა, რათა მომეტრიალებინა და მეკითხა, რატომ ჰქონდა თვალებზე ცრემლი მომდგარი. მან მიპასუხა: „ახლა არაფერი მითხრათ, ახლა მხოლოდ ერთს გეტყვით, ამ ნაბიჭვართან აღარასოდეს ვითამაშებ“. მაშინ პოლი საკმაოდ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ერთი რამ აშკარად დავინახე, ის ამ მწვრთნელის გუნდში მართლა აღარასოდეს ითამაშებდა...

...ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის უსიამოვნება ხშირად ხდება, მაგრამ ისეთ შინაურულ და ერთსულოვან გასახდელში, ჩვენ რომ გვქონდა, ეს ამბავი პირველი წითელი ალმის აღმართვას ჰგავდა...

...მოგვიანებით, მე გამაოცა დევიდ ოლირის თავხედობამ, როდესაც 2002 წელს [illegible] გრაფიაში ფეხბურთელები გააკრიტიკა და [illegible] რელი კოდექსი დაარღვია. ოლირი უარყოფდა, რომ გასახდელში მის წინააღმდეგ ლამის აჯანყება მოეწყო. სეზონის ბოლოს ჩემს კაბინეტში ერთი წამყვანი ფეხბურთელი შემოვიდა და მითხრა: მისტერ რიდსდეილ, სანამ მწვრთნელს არ შეცვლით, ახალ კონტრაქტს ხელს არ მოვაწერ. მერწმუნეთ, მე ბიჭების საერთო აზრსაც გამოვხატავ, ისინი ამ მწვრთნელთან ველარ მუშაობენ...

...დევიდ ოლირის უკვე ყველა აკრიტიკებდა: ლი ბოიერი, დენი მილსი, რიო ფერდინანდი... ისინი ამბობდნენ, რომ მან ჭუჭყიანი თეთრეული გარეთ გაფინა. ოლირის წიგნმა მართლა დიდი როლი ითამაშა, ყველაფერმა უკვე დასაშვებ საზღვრებს გადააჭარბა. ათმა მოთამაშემ, პირდაპირ თუ თავიანთი აგენტების მეშვეობით, შემომითვალეს, რომ თუკი „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელად 2002-2003 წლების სეზონშიც დევიდ ოლირი დარჩება, ისინი გუნდიდან წავლენ...

...ყველაფერს წერტილი 2002 წლის 31 მაისს დაესვა, როდესაც დევიდმა დირექტორატის სხდომაზე დასწრება ითხოვა. მას უნდოდა, დირექტორებისთვის პირადად მიემართა. ვუსმენდი და ყურებს არ ვუჯერებდი. დევიდი ცდილობდა, დირექტორებისთვის აეხსნა, რომ მას ახალი ფეხბურთელების საყიდლად 23 მილიონი გირვანქა კიდევ სჭირდებოდა და ეს მას მერე, რაც მას 97 მილიონი უკვე დახარჯული ჰქონდა. ცუდი შედეგებისთვის ის ჩემს დადანაშაულებას ლამობდა. მახსოვს, ტუჩზე ვიკბინე, მაგრამ ხმა არ ამოვიღია. ფაქტობრივად, ასე გამოუვიდა: ან თავმჯდომარე ან მე.

...თათბირზე დასწრება რომ ითხოვა, მეგონა, ის მოვიდოდა და თავისი სკამის გადასარჩენად სწორი გზების ძებნას დაიწყებდა, მაგრამ ამის ნაცვლად მან, ფაქტობრივად, რევოლვერი ამოიღო, საფეთქელთან მიიდო და ჩახმახს გამოჰკრა“.



დევიდ ოლირი და პიტერ რიდსდეილი

**ბაჩუნა ძიდია**

# ეს რამოს-ვლია სევილიას

## ესპანელები ფიფაში ჩივიან

**ბოლო** დროის ინგლისური პრესა სავსე იყო ცნობებით ესპანელი მწვრთნელის, ხუანდე რამოსის „სევილიადან“ „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ გადასვლის შესახებ, მაგრამ აქამდე არავის დასცდენია, რომ რამოსის გაქცევას სევილიელები გვარიანად გაუღიზიანებია. როგორც ირკვევა, პრიმერადივიზიონის კლუბმა ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართა და იურიდიული გზით ლონდონელებისთვის დიდი კომპენსაციის წართმევას აპირებს.

აი, რა თქვა „სევილიას“ პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ: „ისინი ჩვენგან ღირსეულ პასუხს მიიღებენ. ჩვენ მთელ ძალსა და ღონეს მოვიკრებთ, ამ ენერგიას სწორი მიმართულებით მივმართავთ და „ტოტენჰემს“ გადავახდევინებთ იმ ჯარიმას, რომლის გადახდაც მთელი ამ არეულობის ფარული მეთოდებით მოწყობისთვის მართებს“.

„სარბიელის“ მკითხველმა კარგად იცის, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ხუანდე რამოსს ორჯერ მიმართა, პირველად აგვისტოში — რაც, სხვათა შორის, საკუთარი მწვრთნელის მარტინ იოლის ზურგსუკან გააკეთა, მეორედ კი დაახლოებით ერთი კვირის წინ.

ისევ დელ ნიდო: „ჩვენთან, ესპანეთში პროფესიული საფეხბურთო კლუბები ერთმანეთის წინააღმდეგ თაღლითობებს არ მიმართავენ და ასეთ ქცევას მიჩვეულნი არ ვართ. ყველანი ნახავთ, ფიფას შემწეობით რასაც მოვიმოქმედებთ“.

ლონდონური კლუბი ხუანდე რამოსს ფეხბურთელების საყიდლად 40 მილიონ გირვანქას დაჰპირდა და უთხრა, რომ შესაძენ მოთამაშეთა სიის თავში მისი ყოფილი ფეხბურთელები, სევილიელები დანიელ ალვეში და „სფურზის“ ყოფილი მოთამაშე ფრედი კანუტი იქნებიან.

და ისევ დელ ნიდო: „ძალიან მეეჭვება, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ იმდენი ფული ჰქონდეს, რომ ამ ორ მოთამაშის ყიდვას ეყოს“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ხუანდე რამოსს ახალ გუნდში თანაშემწეებად „სფურზისა“ და „ჩელსის“ ყოფილი მოთამაშე, 39 წლის გუსტავო პოიეტი და „სევილიიდან“ წამოყოლილი მარკოს ალვარესი დაუნიშნეს.

**ბაჩუნა ძიდია**



ხუანდე რამოსი და ხოსე მარია დელ ნიდო

# დიდი შაბათობის წინ

## სქოულზი სამი თვით იუქმებს

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრობლემის წინაშე დგას — პოლ სქოულზი სამი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. 32 წლის ნახევარმცველს მუხლის მყესები დაუშავდა და ხვალ ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

სქოულზი ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან“ თამაშის წინ, ვარჯიშის დროს დაშავდა, რაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მანჩესტერელებისთვის ფრიადი დანაკარგია, რადგან დაშავებულია მაიკლ კარიკიც, ხოლო ოუენ ჰარგრივსი სულ ახლახან გამოჯანმრთელდა.

კარიკის ჯანმრთელობაც ჩემპიონთა ლიგამ წაიღო — „რომასთან“ თამაშის დროს იტკინა იდაყვი. 26 წლის ნახევარმცველმა ვარჯიში ამ დღეებში დაიწყო და თუ სხვა გზა არ იქნა, შაბათს, „არსენალის“ წინააღმდეგ სწორედ ის ითამაშებს.

მანჩესტერელთა მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს იმედი აქვს, რომ „არსენალთან“ თამაშ მცველი გარი ნევილიც შეძლებს. მოგეხსენებათ, 32 წლის ნევილი უკვე შვიდი თვეა, მოედანს აღარ გაჰკარებია და ამ საშინელი პაუზის შემდეგ ხვალ, წესითა და რიგით, სარეზერვო გუნდში პირველად უნდა გააგოროს ბურთი.

რაც შეეხება პოლ სქოულზს, მან გასულ სეზონში მანჩესტერელთა ჩემპიონობაში დიდი როლი ითამაშა, თუმცა კიევის „დინამოსთან“ მისი არყოფნით ქვეყანა ნამდვილად




არ დაქცეულა — ინგლისის ჩემპიონმა 4:2 მოიგო.

ასე და ამგვარად, ინგლისის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, სავარაუდოდ, პრემიერლიგის 13 შეხვედრა უნდა გამოტოვოს, რომელთა შორის ორი უმნიშვნელოვანესია: ზემოხსენებული მატჩი „არსენალთან“ და 16 დეკემბრის თამაში ლივერპულში.

ინგლისური პრესა კი, ამასობაში, მთელი ძალითა და ღონით ემზადება შაბათისთვის, როდესაც „ემირატ სტედიუმზე“ „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდი მატჩი უნდა გაიმართოს. ეს მატჩი რომ მართლაც დიდია, ამაზე პრემიერლიგის დღევანდელი ცხრილიც მეტყველებს — გუნდებს თანაბარი 26-26 ქულა აქვთ — თუმცა „არსენალისა“ და „მანჩესტერის“ დაპირისპირება ბოლო წლების ისტორიის მიხედვითაც გვარიანად თვალისმომჭრელი უნდა იყოს.

ასახელებენ ბოლო წლების ექვს გამორჩეულ ეპიზოდს: 2003 წელს „ოლდ ტრაფორდზე“ რუუდ ვან ნისტელროის მიერ ხარიხისთვის გარტყმულ პენალტს (არსენალელებმა მიიჩნიეს, რომ მანამდე ვან ნისტელროიმ ეპიზოდი გააფორმა და მსაჯს პენალტი გამოსტყუა), რომლის შემდეგ ჰოლანდიელ ფეხბურთელს მეტოქეებმა ცოტა წაუთაქეს კიდეც. ამ ინციდენტს თამაშის შემდეგ, გასახდელშიც მოჰყვა გაწევ-გამოწევა;

ტიერი ანრის ჯადო-გოლს 2000 წლის ოქტომბერში: საჯარიმოს წინ, კარიდან 30 მეტრში, ზურგით მდგომმა ანრიმ პასი მიიღო თუ არა, ბურთი აიგდო და ნახევარბრუნით, დაუგდებლად ჩაუჭედა ფაბიენ ბარტეზს შორეულ კუთხეში. ამ ეპიზოდში ანრის ზურგზე გარი ნევილიც ჰყავდა „აკრული“;

სილვენ ვილტორდის სანახავად ჩვეულებრივ გოლს, რომლის წყალობითაც 2002 წელს „არსენალმა“ 1:0 მოიგო და ჩემპიონი გახდა;

1990 წლის ლიგის თასის მატჩს „ჰაიბერიზე“, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 6:2 მოიგო;

„მანჩესტერ იუნაიტედის“ გამარჯვებას გამანადგურებელი ანგარიშით 6:1. ეს ამბავი „ოლდ ტრაფორდზე“ მოხდა;

ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალს „ვილა პარკზე“, როდესაც მსაჯის წამატებულ წუთებში პიტერ შმეიხელმა დენის ბერხკამპს პენალტი აუღო. ის თამაში დამატებით დროში გადავიდა, სადაც რაიან გიგზმა საოცარი დარტყმით ფინალში „იუნაიტედი“ გაიყვანა. ეს 1999 წელს მოხდა, როდესაც „მანჩესტერმა“ ტრებლი მოიგო, ანუ ფეხბურთის ასოციაციის თასს პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული და ჩემპიონთა ლიგაც დაამატა.

**ბაჩუნა ძიძია**




სესკ ფაბრეგასი და უილიამ გალასი

# სესკი და დანაზოგი

**ფრანგი** უილიამ გალასი სესკ ფაბრეგასს უჭერს მხარს. ის ამბობს, რომ მისი ესპანელი თანაგუნდელი ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელობის ღირსია.

მოგეხსენებათ, პრემიერლიგის ბოლო ტურში „არსენალმა“ ლივერპულში 1:1 ითამაშა და ცხრილის სათავეში დაიბრუნა ადგილი. ამ შეხვედრას თავიდან სტივენ ჯერარდის გოლით „ლივერპული“ იგებდა, მაგრამ ზემოხსენებულმა ფაბრეგასმა ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მარტო ერთ თამაშზე ხომ არ არის ლაპარაკი.

აი, კიდევ რას ამბობს „მეთოფეთა“ კაპიტანი: „სეზონი ძალიან დიდხანს გრძელდება. ამიტომ, როგორც კი დაიღლება, სესკმა დიდი ძალების ხარჯვით თამაშს თავი უნდა დაანებოს. გასაგებია, რომ ახალგაზრდა კაცს სულ ბურთთან უნდა ყოფნა, მაგრამ ფაბრეგასმა აუცილებლად უნდა ისწავლოს ენერგიის შენახვაც. აი, მაშინ მისი მჯობნი ალარავინ იქნება. ფაბრეგასს ისიც ეხმარება, რომ ის და ალექსანდრ გლები დიდი მეგობრები არიან. მეგობრები ხომ მოედანზეც უკეთ გაუგებენ ერთმანეთს“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ნადირობის სეზონი

## რომანს ასეთი გრანტი მოსწონს



**აბრაამ გრანტს** სერიოზული კონკურენტები ჰყავს: „იუვენტუსი“ და „ინტერი“. ამ იტალიურ კლუბებს, „ჩელსის“ დარად, მოსკოვის „ლოკომოტივში“ მოთამაშე სერბი ბრანისლავ ივანოვიჩის შეძენა სურთ.

ივანოვიჩის ფასი 10 მილიონი გირვანქაა.

„ჩელსის“ თავკაცი შებათს, „მანჩესტერ სიტის“ 6:0 რბევის შემდეგ თვითმფრინავში ჩაჯდა და მოსკოვს გაფრინდა, სადაც რუსი რკინიგზელების თამაშს დაესწრო.

„ამწუთას მე მხოლოდ და მხოლოდ „ლოკომოტიზე“ ვფიქრობ — თქვა მის გარშემო ამტყდარი აურზაურის პასუხად ივანოვიჩმა — მაინც რომელი მირჩევნია, იტალია თუ ინგლისი? ძნელი სათქმელია. არ მინდა, გონება ამაზე ფიქრით ავირიო“.

შეგახსენებთ, რომ ბრანისლავ ივანოვიჩი ის ფეხბურთელია, ერთი ხნის წინ ქართველ თანაგუნდელს მალხაზ ასათიანს გასახდელში ალიყური რომ გამოსტყუა.

და ერთიც: რომან აბრამოვიჩმა დროებით მწვრთნელად დანიშნულ აბრაამ გრანტს ახალი, სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

**ბაჩუნა ძიძია**




### ინგლისი

ჩემპიონატი
XII ტური

**კრ. პალასი 0:2 უოტფორდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 13 | 10 | 2 | 1 | 24:12 | 32 |
| ბრისტოლი | 13 | 7 | 5 | 1 | 20:12 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 2 | 4 | 27:15 | 23 |
| იფსვიჩი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:17 | 21 |
| ვულვზი | 13 | 6 | 3 | 4 | 16:14 | 21 |
| სტოკი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:16 | 20 |
| პლიმუთი | 13 | 5 | 5 | 3 | 17:15 | 20 |
| ჩარლტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:15 | 19 |
| სკანთორპი | 13 | 5 | 4 | 4 | 16:16 | 19 |
| საუთჰემპტონი | 13 | 6 | 1 | 6 | 24:27 | 19 |
| ქოვენთრი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:18 | 18 |
| ბარნლი | 12 | 4 | 5 | 3 | 20:19 | 17 |
| ბარნსლი | 13 | 4 | 5 | 4 | 17:20 | 17 |
| ჰალი | 13 | 4 | 4 | 5 | 17:15 | 16 |
| ლესტერი | 12 | 3 | 6 | 3 | 12:9 | 15 |
| კოლჩესტერი | 13 | 3 | 5 | 5 | 23:23 | 14 |
| კარდიფი | 13 | 3 | 5 | 5 | 18:19 | 14 |
| პრესტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:15 | 14 |
| ბლექპული | 13 | 2 | 7 | 4 | 16:19 | 13 |
| შეფილდი | 13 | 3 | 4 | 6 | 17:21 | 13 |
| უენსდი | 13 | 4 | 1 | 8 | 16:23 | 13 |
| კრ. პალასი | 13 | 2 | 5 | 6 | 14:18 | 11 |
| ქუინზ პარკი | 12 | 2 | 5 | 5 | 10:21 | 11 |
| ნორვიჩი | 13 | 2 | 2 | 9 | 7:18 | 8 |

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XIII ტური

**ნიორი 0:1 ნანტი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 13 | 9 | 3 | 1 | 24:7 | 30 |
| ლე ავრი | 13 | 8 | 4 | 1 | 25:11 | 28 |
| ბასტია | 13 | 7 | 2 | 4 | 20:14 | 23 |
| გრენობლი | 13 | 6 | 5 | 2 | 16:11 | 23 |
| ტრუა | 13 | 5 | 6 | 2 | 18:14 | 21 |
| კლერმონი | 13 | 4 | 7 | 2 | 18:14 | 19 |
| მონპელიე | 12 | 5 | 3 | 4 | 16:12 | 18 |
| ანჟერი | 13 | 5 | 3 | 5 | 13:14 | 18 |
| ბრესტი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:14 | 18 |
| დიჟონი | 13 | 4 | 6 | 3 | 12:15 | 18 |
| შატორუ | 13 | 4 | 5 | 4 | 14:14 | 17 |
| აიაჩო | 13 | 4 | 5 | 4 | 12:14 | 17 |
| სედანი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| რეიმსი | 13 | 5 | 1 | 7 | 14:21 | 16 |
| ნიორი | 13 | 4 | 2 | 7 | 10:13 | 14 |
| გენგამი | 13 | 3 | 4 | 6 | 12:15 | 13 |
| ბულონი | 13 | 3 | 4 | 6 | 12:21 | 13 |
| ამიენი | 13 | 3 | 3 | 7 | 11:17 | 12 |
| გენიონი | 13 | 2 | 4 | 7 | 15:20 | 10 |
| ლიბურნი | 13 | 1 | 2 | 10 | 14:28 | 5 |

### პორტუგალია

სუპერლიგა
VIII ტური

**ნავალი 1:1 ბრაგა**
**პორტუ 3:0 ლეიშოეში**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 8 | 0 | 0 | 15:1 | 24 |
| ბენფიკა | 8 | 4 | 4 | 0 | 11:3 | 16 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 3 | 1 | 12:4 | 15 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 3 | 1 | 11:8 | 15 |
| სეტუბალი | 8 | 3 | 5 | 0 | 12:6 | 14 |
| მარიტიმუ | 8 | 4 | 2 | 2 | 11:5 | 14 |
| ბრაგა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 2 | 3 | 8:9 | 11 |
| ამადორა | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| ნასიონალი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:7 | 7 |
| აკადემიკა | 8 | 1 | 4 | 3 | 4:9 | 7 |
| ლეიშოეში | 8 | 0 | 6 | 2 | 6:10 | 6 |
| ნავალი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:14 | 6 |
| ბოავიშტა | 8 | 0 | 5 | 3 | 3:9 | 5 |
| ფერეირა | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | 5 |
| ლეირია | 8 | 0 | 3 | 5 | 4:12 | 3 |

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XI ტური

**ლიბერეცი 1:1 სლავია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 11 | 8 | 2 | 1 | 22:7 | 26 |
| ტეპლიცე | 11 | 7 | 2 | 2 | 17:8 | 23 |
| ბანიკი | 11 | 5 | 5 | 1 | 20:10 | 20 |
| სპარტა | 11 | 6 | 2 | 3 | 16:9 | 20 |
| ბოლესლავი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 16 |
| ბრნო | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| სიგმა | 11 | 4 | 4 | 3 | 7:8 | 16 |
| პლზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | 15 |
| ზლინი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:15 | 13 |
| კლადნო | 11 | 3 | 3 | 5 | 17:20 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 11 | 3 | 3 | 5 | 12:15 | 12 |
| ლიბერეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 10 |
| იაბლონეცი | 11 | 2 | 4 | 5 | 7:11 | 10 |
| ბოჰემიანსი | 11 | 2 | 4 | 5 | 6:12 | 10 |
| ძიძკოვი | 11 | 2 | 3 | 6 | 15:24 | 9 |
| მოსტი | 11 | 1 | 5 | 5 | 16:22 | 8 |



კლაუდიო რანიერი



# მოგონილი პენალტები-2 მსაჯს გამფორმებელიც მიჰყვა

„ნაპოლის“ ურუგვაელ ფორვარდ მარსელო ზალაიეტას თავის ექსგუნდ ტურინის „იუვენტუსთან“ სიმულიანტობით პენალტის „აკიდება“ დაუმტკიცეს და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

შეგახსენებთ, რომ სადისციპლინო კომიტეტმა იმ შეხვედრის მსაჯ მაურო ბერგონცისაც გამოუწერა ერთთვიანი უქმობა ორი აბსურდული თერთმეტმეტრიანის დანიშვნისთვის. თუმცა „ბიანკონერისთვის“ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია.

„ნაპოლიმ“ ზალაიეტას დისკვალიფიკაცია უკვე გააპროტესტა და ვნახოთ, რას მოიტანს აპელაცია...

„არ გვინდა, წარსული დანაშაულისთვის დავისაჯოთ. ამისთვის უკვე საკმარისად გავიღეთ. ბერგონცი, როგორც მსაჯი, მომწონს, მაგრამ მან ორი უხეში შეცდომა დაუშვა, რაც ძვირად დაგვიჯდა. უბრალოდ, ჩვენ გვინდა, რომ ზუსტად ისე მოგვეპყრან, როგორც ყველა სხვა გუნდს. რასაკვირველია, „ნაპოლისთან“ წაგებით დამწუხრებულნი ვართ, მაგრამ ყველაფერი კარგად მიდის. არ დაგვავიწყდეს, რომ წინა სეზონში სერია B-ში ვიყავით და გუნდი შენების პროცესშია. თუ სტაბილურად თამაშს გავაგრძელებთ და მარტამდე ან აპრილამდე ლიდერთა შორის ვიქნებით, ვინ იცის, რომელ ადგილზე დავასრულებთ ჩემპიონატს“ — განაცხადა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# სწრაფი კონტრაქტი

**ტურინის** „იუვენტუსმა“ ბოლოდროინდელი კარგი თამაშისთვის ნიკოლა ლეგროტალიე ახალი კონტრაქტით დააჯილდოვა.

31 წლის მცველი „ბებერ ქალბატონში“ 2010 წლის ზაფხულამდე დარჩება და სეზონში დაახლოებით ერთ მილიონ ევროს მიიღებს.

ლეგროტალიე „იუვენტუსში“ 2003 წელს „კიევოდან“ გადავიდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა ახლა უკვე ვეტერანი მცველის ტურინული კარიერა კარგად ვერ აეწყო... „ბიანკონერის“ მაისურა აქამდე მან მხოლოდ 38-ჯერ მოირგო, რადგან „ბოლონიასა“ და „სიენაში“ იყო განათხოვრებული.

„მოხარული ვარ, რომ ახალ კონტრაქტზე უპრობლემოდ შევთანხმდით. ვეცდები, ხელმძღვანელთა ნდობა გავამართლო“ — თქვა ლეგროტალიემ.



**ქოქი ქანდელაკი**



# მძიმე ავარია

**ორშაბათს** ავსტრიაში მილანიდან წამოსული „როსონერის“ უნგრელი ფანებით სავსე ორი ავტობუსიდან ერთ-ერთი დამცავ ბარიერს შეეჯახა და ამოყირავდა.

ავტობუსში 42 ადამიანი იჯდა.

უბედურ შემთხვევას „მილანის“ სამი უნგრელი ქომაგი ემსხვერპლა, 24 კი დაშავდა.

„მილანის“ უნგრელი გულშემატკივრები კვირას „სან სიროზე“ თავიანთი საყვარელი გუნდისა და „რომას“ მატჩს (0:1) დაესწრნენ და სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

**გიორგი ძაძამიძე**

## დანია

სუპერლიგა. XIV ტური

ოლბორგი 2:0 ესბიერგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდტიულანდი | 14 | 8 | 3 | 3 | 23:16 | 27 |
| ოლბორგი | 14 | 8 | 3 | 3 | 28:22 | 27 |
| კოპენჰაგენი | 14 | 7 | 5 | 2 | 16:7 | 26 |
| ჰორსენსი | 14 | 7 | 4 | 3 | 22:18 | 25 |
| ოდენსე | 14 | 5 | 8 | 1 | 21:10 | 23 |
| რანდერსი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:11 | 21 |
| ნორდსიელანდი | 14 | 5 | 5 | 4 | 19:16 | 20 |
| ესბიერგი | 14 | 4 | 4 | 6 | 27:25 | 16 |
| ბრონდბიუ | 14 | 3 | 5 | 6 | 14:22 | 14 |
| ორჰუსი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:23 | 11 |
| ვიბორგი | 14 | 3 | 1 | 10 | 12:31 | 10 |
| ლიუნგბიუ | 14 | 2 | 3 | 9 | 12:28 | 9 |

# ძამპარინიმ მილანს დასცინა

**სიცილიური** „პალერმოს“ ფორვარდ ამაურით ბევრი კლუბია დაინტერესებული, მათ შორის, „მილანიც“. თუმცა „პალერმოს“ პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი ამბობს, რომ მისი გაყიდვა არ უნდა, ან თუ გაყიდის, არანაკლებ 30 მილიონ ევროდ.

„ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში ვაპირებთ თამაშს და ამაური გვჭირდება. ისე, მას იმაზე ნაკლებად არ გავყიდი, რა ფასადაც მადრიდის „ატლეტიკომ“ ფერნანდო ტორესი „ლივერპულს“ მიჰყიდა. არა მგონია, ამაური რამით ჩამოუვარდებოდეს ტორესს. თუმცა ამ ლაპარაკს აზრი არ აქვს, რადგან „მილანს“, მგონი, სხვა ფეხბურთელები უფრო აინტერესებს. შესაძლოა, მათ ახალი რიკარდო ოლივეირა იყიდონ“ — განაცხადა ძამპარინიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# გაზაევი რკინიგზაში

**რუსული** „სოვეტსკის სპორტის“ ცნობით, მოსკოვის „ლოკომოტივს“ მომავალი სეზონიდან ვალერი გაზაევი გაწვრთნის. მხარეებს უკვე მიუღწევიათ წინასწარი შეთანხმებისთვის.

გაზაევს ცსკა-ში საქმე კარგად აღარ მისდის და გუნდს რომ დატოვებს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. თავის მხრივ, არც „ლოკომოტივის“ უფროსობაა კმაყოფილი ახლანდელი მდგომარეობით და ახალ მწვრთნელს ეძებს.

# ძვირიანი დინიარ

**რუსული** პრესის ცნობით, რამდენიმე ცნობილ ევროპულ გუნდს, ლონდონის „ჩელსის“ თამადობით, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნახევარმცველ დინიარ ბილიალეტდინოვისთვის დაუდგამს თვალი.

ამბობენ, „ლოკო“ მზად არის, 22 წლის ფეხბურთელი დათმოს, თუ 20 მილიონ ევროს გადაუხდიანო.

# თავისუფლებამდე

**რომის** „ლაციოსა“ და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მცველ ლორენცო დე სილვესტრის ლონდონის „არსენალი“ ეპატიჟება. „მეთოფეებმა“ კარგად იციან, რომ დე სილვესტრისა და „ბიანკოჩელესტის“ შორის კონტრაქტს ვადა ზაფხულში გასდის და თუ ახალი შეთანხმება არ გაფორმდა, თავისუფალი აგენტი გახდება.

ნიჭიერ ფეხბურთელზე თვალი „მილანს“, „ინტერსა“ და „იუვენტუსსაც“ უჭირავთ.

# ნორვეგიელი ეშმაკები

**ინგლისურ** „მანჩესტერ იუნაიტედს“ ორი ახალგაზრდა ნიჭიერი ნორვეგიელი ფეხბურთელისთვის დაუდგამს თვალი.

„წითელ ეშმაკებს“ „ვოლერენგას“ 15 წლის თავდამსხმელი ჯოშუა კინგის და „რუსენბორგის“ 20 წლის გარემარბი პერ შელბერდი ამოუღიათ მიზანში.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერში“ უკვე ირიცხება ერთი პერსპექტიული ნორვეგიელი მაგნუს ეიკრემი.

# ჩელსი ბრაზილიაში

**ლონდონის** „ჩელსის“ ბრაზილიური „კორინთიანსის“ მატჩებზე სკაუტები ჰყავს მივლენილი — ისინი 17 წლის ნახევარმცველ ლულინიუსა და 18 წლის თავდამსხმელ დენტინიოს აკვირდებიან.

პირველით სიცილიური „პალერმოც“ ყოფილა დაინტერესებული, მეორეთი კი „მილანი“ და „ფიორენტინა“.

# VDV ინტერსაც უნდა

**გერმანული** „ჰამბურგის“ ჰოლანდიელ კაპიტან რაფაელ ვან დერ ვაარტს „ინტერის“ სახით კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა.

გავრცელებული ცნობით, „ნეროაძურის“ ნახევარდაცვის გაძლიერება იანვარშივე სურს და მზად არის, ექსაიაქსელში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს.

# აიაქსს ევროები უთხრეს

**ამსტერდამის** „აიაქსი“ ისევ „რეალში“ გადასული უესლი სნეიდერის შემცვლელის ძიებაშია და ორი კანდიდატიც ჰყავს — ზაგრების „დინამოს“ 22 წლის პლეიმეიკერი ლუკა მოდრიჩი და პსვ-ს 19 წლის შემტევი ისმაილ აისატი.

პრობლემა მოდრიჩში მოთხოვნილი 25 და აისატში მოთხოვნილი 18 მილიონი ევროა. თუმცა „აიაქსი“ ორივე კლუბთან აგრძელებს მოლაპარაკებას.

# აზერბაიჯანს შეფი მოუკვდა

**ორშაბათს** ღამე ისრაელის კლინიკაში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რამიზ მირზოევი გარდაიცვალა. იგი დიდი ხანი ავადმყოფობდა და მკურნალობის კურსს ისრაელში გადიოდა.

53 წლის მირზოევი აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას 2003 წლის დეკემბრიდან თავკაცობდა.

# ფიფამ ქუვეითი აკრძალა

**ფიფამ** ქუვეითის ნაკრებს დროებით აუკრძალა საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა. მიზეზი ქუვეითის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში მთავრობის უხეში ჩარევაა.

ფიფა დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარებას და ფედერაციისთვის თავისუფლად მუშაობის საშუალების მიცემას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუვეითს ყველა ტურნირიდან მოკვეთენ.

# გალიანი: დამანახეთ უკეთესი

**იტალიური** „მილანი“ მწვავე კრიზისშია, მაგრამ გუნდის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი მაინც ჯიუტად უარყოფს ახალი ფეხბურთელების ყიდვის შესაძლებლობას.

„არ მესმის, ვინ უნდა მოვიყვანოთ ისეთი, რომ ჩვენი ძირითადი თერთმეტეულის რომელიმე მოთამაშეს ჯობდეს. ჭორებს ნუ აჰყვებით. იანვარში ჩვენი ერთადერთი ახალწვეული ალეშანდრო პატო იქნება, რომელსაც ახალი წლიდან უკვე ექნება თამაშის უფლება“ — აღნიშნა გალიანიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ყველაზე გოლიანი წყვილები

„ვისენტე კალდერონზე" ერთმანეთს ესპანური ლა ლიგის ორი ყველაზე მრისხანე მეგოლე წყვილი დაეჯახება: მადრიდში „ატლეტიკო" „სევილიას" მასპინძლობს და ადგილობრივთა აგერო-ფორლანის მოიერიშე დუეტი ძალებს ანდალუზიელთა კანუტ-ფაბიანოსთან მოსინჯავს.

რაც სეზონი დაიწყო, ამ ოთხმა ფორვარდმა ყველა ტურნირში ერთად მეტოქეთა კარები 38-ჯერ დალაშქრა. აქედან 18-ჯერ მადრიდელებმა გაიტანეს, 20-ჯერ კი — სევილიელებმა. თუ მეგოლეებმა „კალდერონზე" ჩვეულად გაილაღეს, წარმოიდგინეთ, ქომაგობა რა წარმტაც სანახაობას იხილავს.

აგერო-ფორლანის წყვილმა „თეთრ-ალისფერთა" ფანობას „ატლეტიკოსადმი" რწმენა დაუბრუნა. მადრიდში ფერნანდო ტორესის შესაფერის მეწყვილეს სამი წელიწადი უშედეგოდ ეძებდნენ, მერე „ელ ნინიო" საერთოდ „ლივერპულში" გადავიდა და „ატლეტიკოს" თავდამსხმელსაც არგენტინელი აგერო და ურუგვაელი ფორლანი დაეპატრონნენ.

ამ ორმა ჩაუქმა წლეულს პრიმერადივიზიონში და უეფას თასზე 9-9 გოლით იხეირა. აქედან 5-5 „კუნმა" შეაგდო, ხოლო 4-4 დიეგო ფორლანმა. ხსენებული 18 გოლით „ატლეტიკო" ლა ლიგის საჩემპიონთალიგო ოთხეულში მოხვედრამდე ერთ ნაბიჯზეა და უეფას თასზეც კარგად თამაშობს.

სერხიო „კუნ" აგერო „ათლეტებმა" არგენტინული „ინდეპენდიენტედან" გასულ სეზონში იყიდეს, თუმცა ახალგაზრდა მოიერიშემ თავი უფრო ამ სეზონში გამოიჩინა. ჩანს, „კუნმა" ფერნანდო ტორესის ინგლისში გადაბარგების შემდეგ თავი უფრო თავისუფლად იგრძნო და აიწყვიტა. აგერომ იცის, რომ კარგი შანსი მიეცა, ესპანეთში გაიბრწყინოს და ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას არ აპირებს —




გაბედულია, თანაგუნდელთაგან პასს ითხოვს, ფინტს არ ერიდება და ამას ძალიან ხშირად გოლიც მოსდევს.

თავის მხრივ, დიეგო ფორლანი სხვას არაფერს აკეთებს, გარდა მეგოლის რეპუტაციის დამტკიცებისა.

ურუგვაელი „ვილიარეალში" ბომბარდირი იყო და დღეს საგოლე ალღოს „ატლეტიკოს" მეტოქეებზე სცდის.

თუ მადრიდულმა წყვილმა ერთმანეთი წლეულს გაიცნო, ანდალუზიურმა კარგა ხანია, ერთურთის ავან-ჩავანი ზეპირად იცის. კანუტი და ლუიში ფაბიანო უკვე მესამე სეზონია, „სევილიაში" თამაშობენ და გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს ძალას წარმოადგენენ. მხოლოდ პირველ წელს (2005-2006) ითამაშეს არასტაბილურად, მერე კი მეკარეებისთვის კოშმარად იქცნენ.

მალელმა მოიერიშემ წლეულს 4 გოლი პრიმერადივიზიონში გაიტანა, 3 ჩემპიონთა ლიგაში და 3-იც ესპანეთის სუპერთასზე. ბრაზილიელმა ფაბიანომ კი 4 გოლი შეაგდო პრიმერადივიზიონში, 5 ლიგაში და ერთიც ესპანეთის სუპერთასზე.

ლა ლიგის მეგოლეთა წყვილები

**სევილია** (20 გოლი):

კანუტი — 10 გოლი (4 პრიმერადივიზიონი, 3 ჩემპიონთა ლიგა და 3 ესპანეთის სუპერთასი)

ლუიში ფაბიანო — 10 გოლი (4 პრიმერადივიზიონი, 5 ჩემპიონთა ლიგა და 1 ესპანეთის სუპერთასი)

**ატლეტიკო** (18 გოლი):

აგერო — 10 გოლი (5 პრიმერადივიზიონი, 5 უეფას თასი)

ფორლანი — 8 გოლი (4 პრიმერადივიზიონი და 4 უეფას თასი)

**ბარსელონა** (14 გოლი):

მესი — 9 გოლი (7 პრიმერადივიზიონი და 2 ჩემპიონთა ლიგა)

ანრი — 5 გოლი (4 პრიმერადივიზიონი და 1 ჩემპიონთა ლიგა)

**რეალი** (12 გოლი):

რაული — 6 გოლი (4 პრიმერადივიზიონი და 2 ჩემპიონთა ლიგა)

ვან ნისტელროი — 6 გოლი (3 პრიმერადივიზიონი და 3 ჩემპიონთა ლიგა)

**ვალენსია** (10 გოლი):

ვილია — 5 გოლი (2 პრიმერადივიზიონი და 3 ჩემპიონთა ლიგა)

მორიენტესი — 4 გოლი (4 პრიმერადივიზიონი და 1 ჩემპიონთა ლიგა).

**ლადო ხომერიკი**

| X ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ატალანტა | : | კალიარი |
| ფიორენტინა | : | ნაპოლი |
| ინტერი | : | ჯენოა |
| იუვენტუსი | : | ემპოლი |
| პალერმო | : | პარმა |
| რეჯინა | : | ლივორნო |
| რომა | : | ლაციო |
| სამპდორია | : | მილანი |
| სიენა | : | კატანია |
| უდინეზე | : | ტორინო |

## იტალია

# კაპიტალური დერბი

**დღეს** „დერბი დელა კაპიტალეა" და, გაცვეთილ ფრაზას თუ მოვიშველიებთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ „რომა" „ლაციოს" 8 ქულით უსწრებს და ახლა გაცილებით უკეთეს ფორმაშია. დედაქალაქურ დერბიში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ეს ორივე გუნდს კარგად ესმის.

წინა სეზონში ერთი რომაული დერბი უგოლოდ დასრულდა, მეორეში კი „ლაციომ" 3:0 იმარჯვა და, ცხადია, „რომას" შურისძიება სწყურია. ვთქვათ ისიც, რომ ფორმალური სტუმრის სტატუსით, „ბიანკოჩელესტის" „რომასთვის" 1997 წლის 1 ნოემბრის მერე არ მოუგია.

ექიმების თქმით, „ჯალოროსის" დაშავებული კაპიტნის ფრანჩესკო ტოტის თამაშის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. სავარაუდოდ, მოედანზე ვერ გავლენ როდრიგო ტადეი, მაურო ესპოზიტო, ალბერტო აკვილანი და მარკო ანდრეოლი. „ლაციოს" ლაზარეთში კი მობიდო დიახიტე, კრისტიან ლედესმა, სტეფანო მაური და სებასტიან სივილია არიან.

— „ლეჩეში" თამაშისას „ლაციოსთან" მატჩში ჰეთ თრიქი მაქვს შესრულებული. ეს ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მაშინ სტადიონზე მამაჩემი და ჩემი ძმა იყვნენ. მესამე გოლი კი დედაჩემს მივუძღვენი, რომელიც ტელევიზორით მიყურებდა. „რომა" — „ლაციო" ყოველთვის ბრწყინვალე სპექტაკლი და დაძაბული შეხვედრაა. თუ მოვიგებთ და გოლს გავიტან, უბედნიერესი ვიქნები" — თქვა ჩინებულ ფორმაში მყოფმა „ჯალოროსის" ჩერნიგორიელმა ფორვარდმა მირკო ვუჩინიჩმა.

| 16182 | რომა-ლაციო | 1.23 | 3.60 |
| 16184 | სამპდორია-მილანი | 2.30 | 1.45 |
| 16185 | სიენა-კატანია | 1.45 | 2.45 |
| 16186 | უდინეზე-ტორინო | 1.30 | 3.00 |
| 16187 | ატალანტა-კალიარი | 1.25 | 3.40 |
| 16188 | ფიორენტინა-ნაპოლი | 1.23 | 3.60 |
| 16193 | პალერმო-პარმა | 1.22 | 3.40 |
| 16263 | ატლეტიკო-სევილია | 1.58 | 2.10 |
| 16266 | ალმერია-სარაგოსა | 1.80 | 1.85 |
| 16267 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 5.50 | 1.12 |
| 16269 | ბეტისი-ოსასუნა | 1.40 | 2.55 |
| 16270 | ხეტაფე-ბილბაო | 1.50 | 2.30 |
| 16271 | უელვა-რასინგი | 1.55 | 2.20 |
| 16272 | ესპანიოლი-მურსია | 1.17 | 4.10 |
| 16273 | დეპორტივო-მალიორკა | 1.55 | 2.20 |
| 16274 | ვალენსია-რეალი | 1.82 | 1.82 |
| 16556 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1.10 | 5.50 |
| 16557 | შტუტგარტი-პადერბორნი | 1.05 | 5.70 |
| 16561 | ესენი-კაიზერსლაუტერნი | 2.05 | 1.65 |
| 16563 | კარლ ცაისი-ნიურნბერგი | 2.30 | 1.48 |
| 16564 | კობლენცი-არმინია | 1.80 | 1.80 |
| 16565 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1.25 | 3.40 |
| 16568 | ვერდერი-დუისბურგი | 1.10 | 5.50 |
| 16570 | ბოლტონი-სიტი | 1.80 | 1.85 |
| 16574 | ლუტონი-ევერტონი | 3.60 | 1.23 |
| 16575 | პორტსმუთი-ბლეკბერნი | 1.55 | 2.20 |
| 16576 | შეფილდი-არსენალი | 3.60 | 1.23 |
| 16582 | ნიორი-ლე მანი | 2.45 | 1.40 |
| 16583 | კანი-ლიონი | 3.00 | 1.30 |
| 16584 | მონაკო-ლანსი | 1.45 | 2.45 |
| 16588 | რენი-ვალენსიენი | 1.25 | 3.40 |
| 16589 | პსჟ-მონპელიე | 1.12 | 4.60 |
| 16597 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.14 | 4.70 |
| 16598 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1.10 | 5.50 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14032 | აიაქსი-ჰერენვენი | 1.20 | 2.60 |
| 14035 | სპარტა-ბრედა | 1.95 | 1.85 |
| 14140 | ლინცერი-ტიროლი | 1.30 | 2.50 |
| 14141 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.65 | 2.30 |
| 14142 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 1.75 | 2.10 |
| 14143 | შტურმი-რიდი | 1.75 | 2.10 |
| 14162 | სტ.გალენი-ციურიხი | 2.30 | 1.65 |
| 14163 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1.65 | 2.30 |
| 14164 | სიონი-ბაზელი | 2.30 | 1.65 |
| 14165 | აარაუ-თუნი | 1.75 | 2.10 |
| 14166 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 1.30 | 2.50 |
| 14181 | რეჯინა-ლივორნო | 1.70 | 2.20 |
| 14182 | რომა-ლაციო | 1.45 | 2.40 |
| 14184 | სამპდორია-მილანი | 2.10 | 1.75 |
| 14185 | სიენა-კატანია | 1.75 | 2.10 |
| 14186 | უდინეზე-ტორინო | 1.65 | 2.30 |
| 14187 | ატალანტა-კალიარი | 1.45 | 2.40 |
| 14188 | ფიორენტინა-ნაპოლი | 1.45 | 2.40 |
| 14193 | პალერმო-პარმა | 1.30 | 2.50 |
| 14263 | ატლეტიკო-სევილია | 1.80 | 2.00 |
| 14266 | ალმერია-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 14267 | ვალიადოლიდი-ბარსელონა | 2.60 | 1.20 |
| 14269 | ბეტისი-ოსასუნა | 1.70 | 2.20 |
| 14270 | ხეტაფე-ბილბაო | 1.75 | 2.10 |
| 14271 | უელვა-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14272 | ესპანიოლი-მურსია | 1.30 | 2.50 |
| 14273 | დეპორტივო-მალიორკა | 1.80 | 2.00 |
| 14274 | ვალენსია-რეალი | 1.90 | 1.90 |
| 14556 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14557 | შტუტგარტი-პადერბორნი | 1.08 | 2.90 |
| 14561 | ესენი-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 1.75 |
| 14563 | კარლ ცაისი-ნიურნბერგი | 2.20 | 1.70 |
| 14564 | კობლენცი-არმინია | 2.00 | 1.80 |
| 14565 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1.45 | 2.40 |
| 14568 | ვერდერი-დუისბურგი | 1.20 | 2.60 |
| 14570 | ბოლტონი-სიტი | 1.95 | 1.85 |
| 14574 | ლუტონი-ევერტონი | 2.50 | 1.30 |
| 14575 | პორტსმუთი-ბლეკბერნი | 1.80 | 2.00 |
| 14576 | შეფილდი-არსენალი | 2.50 | 1.30 |
| 14582 | ნიორი-ლე მანი | 2.20 | 1.70 |
| 14583 | კანი-ლიონი | 2.40 | 1.45 |
| 14584 | მონაკო-ლანსი | 1.75 | 2.10 |
| 14588 | რენი-ვალენსიენი | 1.45 | 2.40 |
| 14589 | პსჟ-მონპელიე | 1.20 | 2.60 |
| 14597 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.30 | 2.50 |
| 14598 | ფეიენოორდი-გრონინგენი | 1.20 | 2.60 |

# ჩემპიონი დასავლეთში თვლემს

**წუხელ ამერიკის შეერთებული შტატების სამ ქალაქში ნბა-ს 62-ე სეზონის რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო. ვისთვის კარგი იქნება ეს სეზონი, ვისთვის ცუდი, ჩვენ მოკლედ მოვყვეთ ყველას ამბავს და დრო გვიჩვენებს, რომელმა გუნდმა შეძლო უკეთ მომზადება. გუშინ აღმოსავლელები წარმოგიდგინეთ, დღეს დასავლეთის ჯერია, სადაც არა ერთი პოტენციური ჩემპიონი ბუდობს.**



დირკ ნოვიცკი დღემდე შოკშია

## სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონი

### დალას მავერიკსი

**ლიდერები:** დირკ ნოვიცკი, ჯოშ ჰოვარდი, ჯეისონ ტერი, ჯერი სტეკჰაუზი
**მწვრთნელი:** აივერი ჯონსონი

აივერი ჯონსონმა ნამეტანი ბევრი ისწავლა დონ ნელსონისგან. მისგან გაცილებით უკეთესი მწვრთნელი დადგა, ვიდრე მოთამაშე იყო და ის კვლავ განაგრძობს სწავლას, ხშირად საკუთარი შეცდომების ფასად. სწორედ შეცდომის წყალობით მიხვდა ნბა-ს ერთ ჭეშმარიტებას — რეგულარულ ჩემპიონატში გინდა უკლებლივ ყველაფერი მოიგე, მაგრამ თუ პლეი ოფში არ ივაჟკაცებ, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდები. წინა სეზონში „დალასი“ მართლაც ფანტასტიკური იყო, რეგულარულში 67 თამაში მოიგო, რაც მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოს“ შემდეგ ვერავის მოეხერხებინა. გუნდის ლიდერი დირკ ნოვიცკიც სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, სხვათა შორის, პირველი ევროპელი. მაგრამ რად გინდა, პლეი ოფში პირველ ნომრად განთესილ „დალასს“ მერვე ნომერმა, სწორედ დონ ნელსონის „გოლდენ სტეიტმა“ მოუგო და ჩემპიონობაზე მოფიქრალი პირველივე რაუნდიდან დაიფრინა. ეს იყო შოკზე უარესი. ნოვიცკი ამბობს, მთელი ზაფხული ხან რას ვაკეთებდი, ხან სად ვიყავი, მაგრამ ის წყეული წაგებული სერია მაინც ვერ ამოვიშალე გონებიდანო. „დალასს“ შარშანაც მსგავსი შოკის გადატანა მოუხდა, როცა 2006 წლის პლეი ოფის ფინალში 2:0 უგებდა „მაიამის“ და ჩემპიონობა ჯიბეში ედო, მაგრამ 2:4 წააგო. ასე რომ, ტეხასელებს მეტოქეების გარდა, საკუთარი მაჯლაჯუნებიც შეაწუხებენ. ახლა გამოჩნდება, მართლა ძლიერები არიან თუ არა ნოვიცკი და მისიანები. რეგულარული ჩემპიონატის ექვსთვიან ჯარაში გატარდება ეს გუნდი და ვინ იცის, როგორი სახით შეხვდება პლეი ოფს.

### სან ანტონიო სფურსი

**ლიდერები:** ტიმ დანკანი, ემანუელ ჯინობილი, ტონი პარკერი, ბრიუს ბოუენი
**მწვრთნელი:** გრეგ პოპოვიჩი

წინა სეზონის საუკეთესო გუნდი „დალასი“ იყო, ჩემპიონი კი „სან ანტონიო“ გახდა. თუმც ის გარემოება, რომ გრეგ პოპოვიჩის სამწყსო პლეი ოფში ზემძლავრ თანაშტატელს ასცდა, ოდნავადაც არ აკნინებს „სან ანტონიოს“ დამსახურებას. არ დაგვავიწყდეს, ამ გუნდმა 1999 წლის შემდეგ 4-ჯერ იჩემპიონა და აქ შემთხვევითობაზე საუბარი სასაცილოა. პოპოვიჩი ყოველთვის ახერხებს ძლიერი გუნდის აშენებას და საპლეიოფოდ მომართვას. ოღონდ მას ამჯერად ახალი არაფერი აუშენებია — ფინალში რომ გაიყვანა, იმ გუნდის განაცხადში ჩაწერილი 12-ვე მოთამაშე შეინარჩუნა და სულ ოდნავადაც არ შეუცვლია რამე. ჩემპიონობის სიხარულით უხვად დაპურებულ სამხრეთტეხასელ ქომაგებს ის თუ ანაღვლებთ, რომ ტიმ დანკანი და მანუ ჯინობილი ასაკში შედიან. ჯერ არ ეტყობათ, მაგრამ მაინც... ტიმი აპრილში 32 წლის ხდება და მანუც გადასცდა 30-ს, მაგრამ, სამაგიეროდ, ტონი პარკერია ახალგაზრდა და მოწადინებული — ბოლო ფინალის უძვირფასესი მოთამაშე გახდა, თანაც მან ამ ზაფხულს პარიზში ევა ლონგორიაზე იქორწინა და მანამდე მოედანზე მფრინავი ახლა მეშვიდე ცაზე აფრინდა.

### ჰიუსტონ როკიტსი

**ლიდერები:** ტრეისი მაკგრეიდი, იაო მინი, სტივ ფრენსისი, ლუის სკოლა
**მწვრთნელი:** რიკ ადელმანი

„ჰიუსტონი“ სხვა დივიზიონის ბინადარი რომ ყოფილიყო, პირველობისთვისაც იბრძოლებდა, მაგრამ აბა, ასეთ ვეშაპებში ვინ გააჭაჭანებს? შემადგენლობით ეს გუნდი არავის ჩამოუვარდება: იაო მინი ნბა-ს ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ცენტრია, ტრეისი მაკგრეიდიც მძლავრი მსროლელ-ფრთაა, შეინ ბეტიე პირველხარისხოვანი პერსონალური მცველია... „რაკეტებმა“ სხვა გუნდებში ნაწოწიალები გამთამაშებელი სტივ ფრენსისიც დაიბრუნეს, ევროპიდან კი მძლავრი არგენტინელი ფორვარდი ლუის სკოლა გამოიწერეს. მოკლედ, ისღა დარჩენიათ, რომ იფრინონ და ილივლივონ, მაგრამ ვინ აცლის. ხელმძღვანელებმა წინა პლეი ოფის ფიასკოს შემდეგ განტევების ვაცად მწვრთნელი ჯეფ ვან განდი აქციეს — აქაოდა, პირველ რაუნდში „იუტასთან“ 2:0 იგებდი და სერიის წაგება „მოახერხეო“. ერჩივნათ, მაკგრეიდი შეეფუცხუნებინათ, რომელიც ძალიან მაგარი ბიჭი კი ჩანს, მაგრამ პლეი ოფში მუდამ რაღაც ემართება — 10 წელია, ნბა-შია და ერთი რაუნდიც არ გაუვლია. იქნებ ახლა მაინც შეძლოს რამე? ვნახოთ.

### ნიუ ორლეან ჰორნეთსი

**ლიდერები:** კრის პოლი, დევიდ ვესტი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, ტაისონ ჩანდლერი
**მწვრთნელი:** ბაირონ სკოტი

ძნელი ამოსარჩევია, ნიუ ორლეანი „კატრინამ“ უფრო მეტად დააზიანა და ტრავმების ქარიშხალმა. „ჰორნეთსის“ ვერც ერთ ლიდერს ვერ შეერგო განვლილი სეზონი თავიდან ბოლომდე — ხან ვინ იმტვრეოდა და ხან ვინ. სერბმა სტოიაკოვიჩმა მხოლოდ 13 მატჩი გაძლო. წლეუს ისინი ტრავმებს თუ გადაურჩნენ, პლეი ოფში მოხვედრას თავისუფლად შეძლებენ. და კიდევ: ბაირონ სკოტს ცოტა დაცვა აქვს მისალაგებელი, თორემ შეტევაში რა უჭირს, კრის პოლის წყალობით.

### მემფის გრიზლიზი

**ლიდერები:** პაუ გასოლი, მაიკ მილერი, სტრომილ სვიფტი
**მწვრთნელი:** მარკ იავარონი

ავადმოსაგონარი სეზონის შემდეგ მემფისელი „დათვები“ აზრზე მოსვლას ცდილობენ. მადლობა ღმერთს, პაუ გასოლი გამოჯანმრთელდა და გუნდიდან წასვლაც გადაიფიქრა. თანაც მან ისიც კი მოახერხა, რომ ძველი, ბარსელონელი თანაგუნდელი და ესპანეთის ნაკრებში გვერდით მდგომი ხუან კარლოს ნავარო „მემფისში“ მიაყვანინა და ეცდება, მას ყველანაირად გზა გაუკვლიოს ამერიკული კალათბურთის უსიერ ჯუნგლებში. „მემფისშია“ სერბი დოყლაპია დარკო მილიჩიჩიც, რომელიც ჯერ „დეტროიტში“ ხეხავდა სკამს, შემდეგ „ორლეანში“ ჯახირობდა და ახლა გასოლის შემცვლელად იმუშავებს. „გრიზლიზს“ ახალი თავკაცი ჰყავს — მარკ იავარონი „ფინიქსში“ მაიკ დანტონის ხელქვეით ნამუშევარი სპეციალისტია და ეცდება, თავის გუნდს სწრაფი კალათბურთი შეათვისებინოს. „მემფისი“ ალბათ მაინც ვერ გახდება ახალი „ფინიქსი“, თუნდაც იმიტომ, რომ არავინა ჰყავს სტივ ნეშის ფრჩხილის ტოლიც-კი.

## ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

### იუტა ჯაზი

**ლიდერები:** კარლოს ბუზერი, დერონ უილიამსი, ანდრეი კირილენკო, მეჰმეთ ოქური
**მწვრთნელი:** ჯერი სლოუნი

„იუტას“ ისეთი სეზონი ჰქონდა, უკეთესს რომ ვერ ინატრებს. საშუალო გაქანების „ჯაზ-ბენდი“ უცებ დასავლეთის ფინალში აღმოჩნდა. მორმონთა გუნდს წლეულს ძალიან გაუჭირდება იმავეს განმეორება, თანაც გუნდში ცოტა ჩამოცხა. წინა სეზონში გაბრწყინებულმა ბუზერმა და უილიამსმა აითვალწუნეს რუსი ანდრეი კირილენკო — თავს ზოგავს და გუნდისთვის ბოლომდე აღარ იხარჯებაო. კირილენკო კი ხშირ ტრავმებს იმიზეზებს. ხელმძღვანელობა მას „ფინიქსში“ შონ მერიონში უცვლიდა და ამ ვაჭრობით, იცოცხლეთ, ბევრსაც მოიგებდა, მაგრამ გაცვლა არ შედგა და რუსი „AK-47“ ჯერჯერობით დიდი მარილიანი ტბის პირას რჩება. შარშან „იუტას“ კარგად წაადგა თურქი მეჰმეთ ოქურიც, რომელმაც ოლ სტარში თამაშიც კი მოახერხა. სხვაფრივ ახალი არაფერია, ჯერი სლოუნი ალბათ წელსაც მოიგებს ყველაზე უგემოვნოდ შემოსილი და ყველაზე უჟმური მწვრთნელის „ტიტულს“.

### დენვერ ნაგიტსი

**ლიდერები:** კარმელო ენტონი, ალენ აივერსონი, მარკუს კემბი, კენიონ მარტინი
**მწვრთნელი:** ჯორჯ კარლი

პოტენციურად ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, მაგრამ „დენვერი“ ჯერაც საშუალოებში ტრიალებს და ვნახოთ, შეძლებს თუ არა ბობოლებში აღზევებას. წინა სეზონის შუაწელს „ფილადელფიიდან“ „დენვერში“ გადასული ალენ აივერსონი კარგად შეეგუა ახალ გუნდს და კარმელო ენტონისაც არ აზირებია, შენზე უკეთესი ვარ და ლიდერობა დამითმეო. ისინი დაუნანებლად უყოფენ ერთმანეთს ბურთს, ეტყობა ჰოროსკოპით კარგად შეეწყვნენ და არ ამჟღავნებენ დიდ ეგოს, რაც მუდამ იყო მათი ცხოვრების მთავარი კრედო. აპრილში მათმა შეხმატკბილებულმა ბურთაობამ „დენვერს“ რეგულარულის ბოლო 11 თამაშიდან 10 მოაგებინა. „ნაგიტსმა“ მომავალი ჩემპიონი „სან ანტონიოც“ დააფეთა, როცა პლეი ოფში პირველი თამაში მოუგო (მერე კი ყველა წააგო).

გუნდს სულ სხვა პრობლემა აწუხებს: მეფარეთა ტრავმები. კენიონ მარტინი ორ სეზონში მხოლოდ 58 თამაშში გავიდა მოედანზე, მარკუს კემბის კი ერთბაშად რამდენიმე ქრონიკული ტრავმა აქვს და ყოველთვის, როცა ის ფარქვეშ იბრძვის, მწვრთნელ-ხელმძღვანელობა გულში ლოცულობს, ემანდ არ წაიქცეს, თორემ ველარც ადგებაო. წინა სეზონში კემბი ბოლომდე ყოჩაღად იდგა ფეხზე და სეზონის საუკეთესო დამცველის ტიტულიც კი „იშოვა“ თავისი მოხსნა-დაფარებებით.




სან ანტონიოში „სფურსის“ მეოთხე ჩემპიონობას ზეიმობენ

## პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

**ლიდერები: ბრენტონ როი, ლამარკუს ოლდრიჯი**
**მწვრთნელი: ნეიტ მაკმილანი**

ძეხორციელმა არ უწყის, რა გუნდი იქნება „პორტლენდი“. დრაფტზე პირველ ნომრად დიდი ზარზეიმით აყვანილი გოლიათი გრეგ ოდენის ტრავმამ ამ მონასტერში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შეფებს რომ სცოდნოდათ, ოდენი მთელ სეზონს გამოტოვებდა, გუნდის ლიდერ ზაკ რენდოლფს ცოცხალი თავით არ გაუშვებდნენ „ნიუ იორკში“. ახლა კი ისინი სხედან და სურვილს ებრძვიან, რომ კედელს არ ურტყან თავები. ბრენდონ როი რიგიანი ჯეელია, წინა სეზონის საუკეთესო ახალბედა გახდა, მაგრამ მისი და კიდევ სხვა ნახევარვარსკვლავი ბიჭების იმედად ყოფნა ვერაფერი ნუგეშია. „პორტლენდი“ ამ სეზონს ალბათ ცხრილის ფსკერზე გაყურსული გაატარებს და უკეთეს დროებას დაელოდება.

## სიეტლ სუპერსონიქსი

**ლიდერები: კევინ დურანტი, ვალი შჩერბაკი, ლუკ რიდნორი**
**მწვრთნელი: ფიჯეი კარლესიმო**

„სიეტლში“ ძირეული ძვრების დრო დადგა. კლუბმა გენერალური მენეჯერი შეიცვალა. ამ თანამდებობის მომრგებმა 29 წლის სემ პრესტიმ კი აბსოლუტურად ყველაფერი შეცვალა. მან მწვრთნელად დანიშნა გამოცდილი ფიჯეი კარლესიმო, რაც მშვენიერი სვლა იყო, მაგრამ მერე რაც ქნა... დრაფტზე საეჭვო მომავლის კევინ დურანტი აიყვანა, მერე კი გუნდის ლიდერი რეი ალენი „ბოსტონს“ აჩუქა დურანტის ამპლუის მოთამაშის ფასად. და კიდევ, კლუბს გული აღარ უდგება „სიეტლში“ და დიდი შანსია, მომავალი წლიდან ოკლაჰომა-სიტიში გადაბარგდეს. ამ სეზონს „პორტლენდის“ დარად „სიეტლიც“ ფსკერზე გაატარებს.

## მინესოტა ტიმბერვულვზი

**ლიდერები: ანტუან უოლკერი, სებასტიან ტელფაირი**
**მწვრთნელი: რენდი უიტმენი**

„მინესოტამ“ რომ კევინ გარნეტი დაკარგა, მაშინ დამთავრდა ამ გუნდისთვის ეპოქა დიდი. ავად თუ კარგად, გარნეტი „მგლებს“ ლიდერობდა მთელი 12 წელი, მაგრამ ბოლოს ველარაფერს ახერხებდა და „ბოსტონში“ გაუშვეს. შემდეგ კი მას ყველა ხეირიანი მოთამაშე მიაყოლეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წლეულს „მინესოტა“ ყველაზე უსუსური გუნდი იქნება. იძუნძულებენ „მგლები“, „ლეკვებს“ ნადირობის გამოცდილებას შესძენენ, სეზონის ბოლოს კი დრაფტზე მოძებნიან ბედს, იქნებ იქ მომავალი გარნეტი შეხვდეთ.

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

## ფინიქს სანზი

**ლიდერები: სტივ ნეში, ამარე სტუდემაიერი, შონ მერიონი, გრანტ ჰილი**
**მწვრთნელი: მაიკ დანტონი**

პლეი ოფის მეორე წრეში „სან ანტონიოსთან“ მარცხის შემდეგ ეს ალბათ ყველაზე ლამაზად მოთამაშე სუპერგუნდი დაშლის საფრთხის წინაშე დადგა. 90-იანი წლების გამორჩეულმა მოთამაშემ, ნბა-ს 5-გზის ჩემპიონმა სტივ კერიმ გუნდის თავში მოსვლის შემდეგ თქვა, სტივ ნეშის გარდა, ხელშეუხებელი არც ერთი მოთამაშე არ არისო და დაესივნენ ამარე სტუდემაიერსა და შონ მერიონს მსურველები. მერიონმა ხელფასის გაზრდა მოითხოვა და უარი მიიღო, შემდეგ კი სხვა გუნდში გაცვლის სურვილიც გააჟღერა, მაგრამ დაიწყო შემოდგომის საწვრთნელი კემპი და მერიონი სხვების მსგავსად, უაღრესად მოტივირებული გამოცხადდა ბაზაზე. მასაც და ყველასაც არიზონული უდაბნოს მზით გადამწვარ ველებში ერთი, ჯერაც აუსრულებელი ოცნება აქვთ: „ფინიქს სანზი“ ჩემპიონი უნდა გახდეს. მართალია, ნბა-ს საუკეთესო გამთამაშებელი და მრავალთა აზრით, საუკეთესო მოთამაშე სტივ ნეში მალე 33 წლის ხდება, ხოლო ამარე სტუდემაიერმა დაცვაში თამაში ეგრეც ვერ ისწავლა, მაგრამ „სანზი“ მაინც მძლავრი გუნდია. თანაც მათ შეიმატეს ტრავმებისგან კარიერადანგრეული, მაგრამ მაინც ქარიზმატული მოთამაშე გრანტ ჰილი, სწორედ იმ ყაიდის მობურთალი, როგორისაც მაიკ დანტონი უწევს პროპაგანდას.

## გოლდენ სტეიტ უორიორზი

**ლიდერები: ბაირონ დევისი, ალ ჰარინგტონი, სტივ ჯეკსონი**
**მწვრთნელი: დონ ნელსონი**

სასწაულები არ მეორდება, „მეომართა“ წინა სეზონი კი ერთი დიდი სასწაული იყო. გუნდი 1994 წლის შემდეგ უპლეიოფოდ ჯახირობდა, მაგრამ 12-წლიანი განშორების შემდეგ ოკლენდში დაბრუნდა „დიდი დონი“ (დონ ნელსონი) და „გოლდენ სტეიტმაც“ სასწაული გამოაცხო, პლეი ოფშიც გასხლტა და იქ თვით „დალასი“ ჩაძირა. ახლა ნელსონის გუნდი საშუალოებში ეცდება ადგილის შენარჩუნებას. „უორიორზმა“ ისევე დაკარგა ჯეისონ რიჩარდსონი, როგორც ათწლეულებში კარგავდა ყველა ხეირიან მოთამაშეს. შემდეგ გაუშვა ლიტველი გამთამაშებელი შარუნას იასიკევიჩუსი, რომელსაც ვერც იყენებდა. სამაგიეროდ, მივიდა იტალიელი ახალბედა მარკო ბელინელი, რომელზეც მის სამშობლოში აბოდებთ და მისგან ამერიკაშიც რაღაც განსაკუთრებულს ელიან. გუნდი მაინც მეტწილად სულ სხვა კალათბურთელზეა დამოკიდებული — 28 წლის ბაირონ დევისზე, რომელიც როცა ჯანმრთელია, ნებისმიერ გამთამაშებელს გაუტოლდება და კიდეც აჯობებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კობი ბრაიანტს ლოს ანჯელესში გული აღარ უდგება

## ლოს ანჯელეს ლეიკერსი

**ლიდერები: კობი ბრაიანტი, ლამარ ოდომი, ლუკ უოლტონი**
**მწვრთნელი: ფილ ჯეკსონი**

ბოლო წლებში „ლეიკერსის“ ისტორია მის ლიდერ კობი ბრაიანტის გამოხტომებისა და შარიანობის ქრონიკაა. გუნდში სხვა სიახლე არ ხდება, ლოს ანჯელესის ბინადარი ჭირვეული კინომსახიობების მსგავსად და უფრო მეტადაც, ბრაიანტი შფოთავს, ინტრიგებს ხლართავს, რაღაცას აფუჭებს, ვიღაცას ლანძღავს და ასე შემდეგ. სეზონის ბოლოს მან თავი გაიგიჟა, სხვაგან გამიშვითო. არ გაუშვეს, დაუყვავეს და აუხსნეს, შენთვისვე ჯობს აქ დარჩენაო. ვითომ შეიგნო, მაგრამ მერე ვიღაცეებთან „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობაზე ისეთი საზიზღრობები ილაპარაკა, ლამის კარიერა დაინგრია. იმ ვიღაცას ჩუმად ჩაუწერია მისი ნაუბარი და ბრაიანტის კლუბისთვის შეუთავაზებია, ცხადია, მოზრდილი თანხის ფასად. შემდეგ კობი თვითონაც მიხვდა, რომ უკვე მერამდენედ განაწყობდა საზოგადოებას თავის წინააღმდეგ და დაცხრა. ცხოვრებაში პირველად ამერიკის ნაკრებში თამაში იკადრა და ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობდა, მაგრამ შემდეგ (ჩანს, უქმად ჯდომა მობეზრდა) კვლავ სხვა გუნდში გაშვებაზე მოაღო პირი. „ლეიკერსმა“ რამდენიმე გუნდთან სცადა მოლაპარაკება — „დალასს“ ბრაიანტის ნაცვლად დირკ ნოვიცკის სთხოვდა, „ფინიქსს“ კი სტივ ნეშს (როგორია?), მაგრამ ორივესგან ცივი უარი მიიღო. ამგვარად, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი და ეგოიზმისგან შეჭმული კალათბურთელი ჯერჯერობით კვლავ ძველ გუნდში რჩება. რა გამოვა ამ საქმიდან? გუნდს რა ხეირი? შეიძლება, „ლეიკერსი“ გავიდეს პლეი ოფში, შეიძლება ვერა, კობი ბრაიანტი კი ალბათ ვერასდროს მოიპოვებს სპორტულ სიმშვიდეს, მან ხომ ჩემპიონობა და ფული ძალიან ადრეულად მოიგო, ახლა კი ვერაფერსაც ველარ იგებს.

## ლოს ანჯელეს კლიპერსი

**ლიდერები: ელტონ ბრენდი, სემ კასელი, კორი მაგეტი**
**მწვრთნელი: მაიკ დანლივი**

„კლიპერსის“ პიკმა გადაიარა. ლოს ანჯელესის მეორე გუნდი 2006 წელს იყო კარგი, როცა პლეი ოფის მეორე წრეს უწია, ბოლო სეზონში კი ისე დაყვინთა, რომ გაუჭირდება ამოყვინთვა. გუნდის ლიდერი ელტონ ბრენდი დაშავდა, ახალგაზრდა შონ ლივინგსტონიც. მრავალ ჭირ და ლხინნახული სემ კასელი კი არც მეტი, არც ნაკლები, 38 წლისაა და ნამდვილად აღარაა მისგან სასწაულები მოსალოდნელი. კარგია, რომ ყოველ თამაშში 20 ქულის მშოვნელი კორი მაგეტი მაინც აღარ ბორგავს და მწვრთნელს აღარ ედავება, ხუთეულის ღირსი ვარ და სათადარიგებში რად მალპობო.

## საკრამენტო კინგზი

**ლიდერები: მაიკ ბიბი, რონ არტესტი, კევინ მარტინი**
**მწვრთნელი: ერიკ მუსელმანი**

„საკრამენტოს“ აღმოსავლეთ კონფერენციაში რომ ეთამაშა, პლეი ოფის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდიც გახდებოდა, მაგრამ უმძლავრესი კლუბებით მოოჭვილი დასავლეთის დიდებში გარევის მისხალი შანსიც კი არ აქვს. ლიდერი მაიკ ბიბი თავბედს იწყევლის, რატომ „კლივლენდში“ არ გადავედიო, რონ არტესტი ენას უშვერად იქნევს, კევინ მარტინი კი იქნებ ოლ სტარშიც კი მოხვდეს, მაგრამ „მეფეები“ მაინც სადღაც ქვევით დარჩებიან და მწარედ ინანებენ, 2002 წლის პლეი ოფში დასავლეთის ფინალში „ლეიკერსს“ რომ ვერ მოუგეს. ჩაიარა მათმა მატარებელმა...

**კოტე ყორშია**

# ნბა-ს ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1947 | ფილადელფია უორიორზი — ჩიკაგო სტეგზი | 4:1 |
| 1948 | ბალტიმორ ბულიტსი — ფილადელფია უორიორზი | 4:2 |
| 1949 | მინეაპოლის ლეიკერსი — ვაშინგტონ კეპიტალზი | 4:2 |
| 1950 | მინეაპოლის ლეიკერსი — სირაკუზ ნეშნელზი | 4:2 |
| 1951 | როჩესტერ როიალზი — ნიუ იორკ ნიქსი | 4:3 |
| 1952 | მინეაპოლის ლეიკერსი — ნიუ იორკ ნიქსი | 4:3 |
| 1953 | მინეაპოლის ლეიკერსი — ნიუ იორკ ნიქსი | 4:1 |
| 1954 | მინეაპოლის ლეიკერსი — სირაკუზ ნეშნელზი | 4:3 |
| 1955 | სირაკუზ ნეშნელზი — ფორტ ვეინ პისტონზი | 4:3 |
| 1956 | ფილადელფია უიორიორზი — ფორტ ვეინ პისტონზი | 4:1 |
| 1957 | ბოსტონ სელტიქსი — სენტ ლუის ჰოქსი | 4:3 |
| 1958 | სენტ ლუის ჰოქსი — ბოსტონ სელტიქსი | 4:2 |
| 1959 | ბოსტონ სელტიქსი — მინეაპოლის ლეიკერსი | 4:0 |
| 1960 | ბოსტონ სელტიქსი — სენტ ლუის ჰოქსი | 4:3 |
| 1961 | ბოსტონ სელტიქსი — სენტ ლუის ჰოქსი | 4:1 |
| 1962 | ბოსტონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:3 |
| 1963 | ბოსტონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:2 |
| 1964 | ბოსტონ სელტიქსი — სან ფრანცისკო უორიორზი | 4:1 |
| 1965 | ბოტსონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:1 |
| 1966 | ბტოსტნ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:3 |
| 1967 | ფილადელფია სიქსერზი — სან ფრანცისკო უორიორზი | 4:2 |
| 1968 | ბოსტონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:2 |
| 1969 | ბოტსონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:3 |
| 1970 | ნიუ იორკ ნიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:3 |
| 1971 | მილუოკი ბაქსი — ბალტიმორ ბულიტსი | 4:0 |
| 1972 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ნიუ იორკ ნიქსი | 4:1 |
| 1973 | ნიუ იორკ ნიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:1 |
| 1974 | ბოსტონ სელტიქსი — მილუოკი ბაქსი | 4:3 |
| 1975 | გოლდენ სტეიტ უორიორზი — ვაშინგტონ ბულიტსი | 4:0 |
| 1976 | ბოსტონ სელტიქსი — ფინიქს სანზი | 4:2 |
| 1977 | პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — ფილადელფია სიქსერზი | 4:2 |
| 1978 | ვაშინგტონ ბულიტსი — სიეტლ სუპერსონიქსი | 4:3 |
| 1979 | სიეტლ სუპერსონიქსი — ვაშინგტონ ბულიტსი | 4:1 |
| 1980 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ფილადელფია სიქსერზი | 4:2 |
| 1981 | ბოსტონ სელტიქსი — ჰიუსტონ როკიტსი | 4:2 |
| 1982 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ფილადელფია სიქსერზი | 4:2 |
| 1983 | ფილადელფია სიქსერზი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:0 |
| 1984 | ბოსტონ სელტიქსი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:3 |
| 1985 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ბოსტონ სელტიქსი | 4:2 |
| 1986 | ბოსტონ სელტიქსი — ჰიუსტონ როკიტსი | 4:2 |
| 1987 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ბოსტონ სელტიქსი | 4:2 |
| 1988 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — დეტროიტ პისტონზი | 4:3 |
| 1989 | დეტროიტ პისტონზი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:0 |
| 1990 | დეტროიტ პისტონზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი | 4:1 |
| 1991 | ჩიკაგო ბულზი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:1 |
| 1992 | ჩიკაგო ბულზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი | 4:2 |
| 1993 | ჩიკაგო ბულზი — ფინიქს სანზი | 4:2 |
| 1994 | ჰიუსტონ როკიტსი — ნიუ იორკ ნიქსი | 4:3 |
| 1995 | ჰიუსტონ როკიტსი — ორლანდო მეჯიქი | 4:0 |
| 1996 | ჩიკაგო ბულზი — სიეტლ სუპერსონიქსი | 4:2 |
| 1997 | ჩიკაგო ბულზი — იუტა ჯაზი | 4:2 |
| 1998 | ჩიკაგო ბულზი — იუტა ჯაზი | 4:2 |
| 1999 | სან ანტონიო სფურზი — ნიუ იორკ ნიქსი | 4:1 |
| 2000 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ინდიანა პეისერზი | 4:2 |
| 2001 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ფილადელფია სიქსერზი | 4:1 |
| 2002 | ლოს ანჯელეს ლეიკერსი — ნიუ ჯერსი ნეთსი | 4:0 |
| 2003 | სან ანტონიო სფურზი — ნიუ ჯერსი ნეთსი | 4:2 |
| 2004 | დეტროიტ პისტონზი — ლოს ანჯელეს ლეიკერსი | 4:1 |
| 2005 | სან ანტონიო სფურზი — დეტროიტ პისტონზი | 4:3 |
| 2006 | მაიამი ჰითი — დალას მავერიქსი | 4:2 |
| 2007 | სან ანტონიო სფურზი — კლივლენდ კავალიერზი | 4:0 |

## კალათბურთი

# ევროთასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# უცენტრო თამაშში რივერსიც ბრალია

**სპორტის სასახლე. 3000 მაყურებელი**

**ენერჯი-ინვესტი 77:87 მაიგუაიდი**

**19:25 20:25 17:18 21:19**

**რუსთავი, საქართველო ამსტერდამი, ჰოლანდია**

**ენერჯი-ინვესტი:** გამყრელიძე (10 ქულა, 7 მოხსნა, 9 პასი, 2 ჩაჭრა), ბოისა (6), რივერსი (33), სტეფანოვი (10), ფერგიუსონი; ბაბიაშვილი (7), დიდია (6), ლეჟავა (3)

**მაიგაიდი:** გიბსონი (12), რობერტსი (18), ვესელსი (3), ვაიტი (14 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), ვან პაასენი (16 ქულა, 10 მოხსნა); შტეინი (18), საბენდამი (6), ფლიქსი, ვან ლოონი

**მსაჯები:** ენჯინ კენერმანი (თურქეთი), სერგეი ზასჩუკი (უკრაინა), კრიშტოფ პოლცნერი (ავსტრია)



ბელტონ რივერსის მონდომებამ რუსთაველებს ვერ უშველა

**ქართული** კლუბის ევროსარბიელზე დაბრუნება წარუმატებელი კი გამოდგა, მაგრამ ენა არ მოგვიტრიალდება, რუსთავის „ენერჯი-ინვესტზე" ავგი ვთქვათ. დავით უსტიაშვილის გუნდი მთელი ჯიგრითა და შემართებით ეომა ამერიკელებით შემაგრებულ ჰოლანდიურ „მაიგაიდს", მომენტებში საკუთარ თავსაც აჯობა და მეტოქესაც, მაგრამ თავს ზემოთ ძალა რომ არ არის, ამაში ერთხელაც დავრწმუნდით.

რუსთაველების მარცხი ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ისინი ამსტერდამელებს ფაქტობრივად ცენტრის გარეშე ეთამაშნენ და ასეთ დროს მოგება ალბათ სასწაულის ტოლფასი იქნებოდა. „მაიგაიდის" გამარჯვება სრულიად ლოგიკური იყო — ამ გუნდს სამი 210 სანტიმეტრს აცილებული მოთამაშე ჰყავდა, რომელთაგან ორი ისე დარბოდა, ბევრ უკანახაზელს შეშურდებოდა. ამსტერდამელებმა მთლიანობაში 20-ით მეტი ბურთი მოხსნეს და ასეთ დროს წარმატების ერთადერთი შანსი არსებობს — შორი სროლები უნდა წაგივიდეს.

რუსთაველთა წაგების მთავარი მიზეზი ესაა. მათ პერიმეტრიდან მიზანი გაუმრუდდათ, 30 სამიანიდან მხოლოდ 9 ჩააგდეს, თანაც ორჯერ ისეთი მომენტში აუკანკალდათ ხელი, გადამწყვეტი რომ ეთქმის.

უცენტროდ ვითამაშეთო, ვთქვით და ეს ასეცაა, რადგან 213-სანტიმეტრიანი ანვარ ფერგიუსონის ფაფხურს თამაში არ ეთქმოდა. ის ჰოლანდიელებისთვის საფრთხობელას როლს თუ ასრულებდა, თუმც მის შავკანიანსავე ოპონენტებს „ფერგის" სიმაღლის არ ეშინოდათ და ფარქვეშ მეტეორებივით ჩაუფრენდნენ ხოლმე — ხან მარჯვნიდან, ხანაც მარცხნიდან.

უსტიაშვილმა თამაშის შემდეგ აღნიშნა, რომ ფერგიუსონის ჩამოყვანაში შეცდნენ. თუმცა ამას ვერანაირად ვერ ვიტყვით მეორე შავკანიანზე, შეუპოვარსა და ექსტრაკლასის უკანახაზელ ბელტონ რივერსზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველები თავლაფის დასხმას სწორედ ამ ვერცხლისწყალივით ბიჭმა გადაარჩინა. რივერსმა 33 ქულით ულაპარაკო ბომბარდირობა გაიფორმა და მისი 7 მოხსნაც საუკეთესო შედეგი იყო რუსთაველთაგან ლაშა გამყრელიძის ანალოგიურ მაჩვენებელთან ერთად.

ორჯერ იყო ისეთი მომენტი, როცა ამ ორი უკანახაზელის დიდებული თამაშის წყალობით რუსთაველებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს. ჯერ მეორე მეოთხედში, როცა სტუმრები 32:22 დაწინაურდნენ, რივერსმა უკანახაზელი თანამებრძოლების დახმარებით 12:1 გააქცია რუსთაველები და პირველად დააწინაურა (34:33). ხოლო მესამე ათწუთეულში, როცა ავის ვაიტისა და ჯერონ რობერტსის არქტიურობამ „მაიგაიდს" 18-ქულიანი ლიდერობა დაუბევა, ისევ ქვემოქართლელთა დაბლებმა იჩაუქეს და ბრძოლას აზრი შეუნარჩუნეს.

პირველივე მეოთხედში გამოჩნდა, რომ ფარზე არაფერი გვესაქმებოდა. ჰოლანდიის ნაკრების ცენტრი პეტრუს ვან პაასენი იოლად უმკლავდებოდა ფერგიუსონს, ხოლო ფენომენალური ნახტომის მქონე ვაიტი დაფარებებს არ იშურებდა რუსთაველთათვის. შედეგიც უმალ აისახა ტაბლოზე — „მაიგაიდი" 13:3 დაწინაურდა და უსტიაშვილმა წუთშესვენება აიღო. მოფარფატე ფერგიუსონი ზვიად ბაბიაშვილით შეცვალა და რუსთაველებს მკაცრი ზონური დაცვა დაავალა.

ამან შედეგი გამოიღო. „ენერჯი-ინვესტი" საჯარიმოსაც იცავდა და პერიმეტრსაც შეძლებისდაგვარად აკონტროლებდა, ხოლო როცა ამსტერდამელთა აცილებული ბურთები ჩვენს დაბლებს სწრაფ შეტევაში გადაჰქონდათ, ამოვისუნთქეთ. ბაბიაშვილის სირენის თანხლებით ჩაგდებული სიმინის შემდეგ პირველ შესვენებაზე 6-ქულიანი ჩამორჩენით გავედით — 19:25.

მეორე მეოთხედიდან ამსტერდამელების ებრაელმა თავკაცმა არიკ შივეკმა ორმაგი კოშკი დაგვიყენა. 211-სანტიმეტრიან ვან პაასენს კიდევ უფრო მაღალი რობერტ საბენდამი შეუწყვილა, მაგრამ ამან რუსთაველთა წისქვილზე დაასხა წყალი. ამსტერდამელთა 10-ქულით გალიდერება იყო და, ჩვენი უკანა ხაზი აფეთქდა. ამ დროს რუსთაველებს მოედანზე 3 ტანდაბალი ჰყავდათ — ლაშა გამყრელიძემ, ბესიკ ლეჟავამ და ბელტონ რივერსმა ერთმანეთს კარგად გაუგეს და უსწრაფესი შეტევებით „ენერჯი-ინვესტი" პირველად დააწინაურეს.

ამ მომენტში საკუთარ თავზე აიღო თამაში რივერსმა, რომელსაც ამსტერდამელთა თავკაცმა ალონ შტეინი დაუპირისპირა. თუმცა შტეინმა დაცვაზე მეტად შეტევაში იყოჩაღა და მიჯრით ჩაგდებული რაგინდარაქულიანი ბურთების შემდეგ „მაიგაიდმა" კვლავ გაქუსლა — 50:39.

მესამე მეოთხედი საშინლად დაიწყეს რუსთაველებმა — ისინი ფარიდან ბურთს ფაქტობრივად ვერ ხსნიდნენ. ასე მიუახლოვდა ამსტერდამელთა უპირატესობა 20 ქულას და დავით უსტიაშვილი მიხვდა, რომ მეტოქის მეფარეებთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ჰოდა, ის ვა-ბანკზე წავიდა და მოედანი ტანდაბალი მოთამაშეებით გაავსო. ყველაზე მაღალი 206-სანტიმეტრიანი სტევანოვი იყო, ხოლო დანარჩენები სულ მსროლელები იყვნენ.

ამან თავიდან გაამართლა — სამარქაფო რევაზ დიდიამ 2 სამიანი ჩააგდო, ხოლო გამყრელიძე და ანატოლი ბოისა დაცვაში აფთრებად გადაიქცნენ და როცა რივერსმა თავისებური შურდულგარძლვევები წამოიწყო, ამსტერდამელთა უშველებელი ლიდერობიდან 4 ქულაღა დარჩა — 64:68 დასრულებამდე 8 წუთით ადრე.

აი, აქ ააცილეს რუსთაველებმა ჰაერივით საჭირო სამქულიანი, ხოლო ვაიტმა ისეთი ბურთი ჩატენა ჩვენს კალათში, ვინს კარტერიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს. ამან ისეთი ეფექტი მოახდინა, რომ ჩვენები დამუხრუჭდნენ, ხოლო ჰოლანდიელებს გული მიეცათ. ბოლოს და ბოლოს, ჰოლანდიელთა სიმაღლეში უპირატესობამ ნაყოფი გამოიღო. ვან პაასენი დიდოსტატურად ათამაშდა, რამდენიმე საშუალო სროლა ცივსისხლიანად ჩაგვიკალათა და როცა ოქროსხელება ალონ შტეინმა სამიანიც დასჭექა, რუსთაველთა ბედი საბოლოოდ გაირკვა — სირენამდე 3 წუთი იყო, „მაიგაიდი" კი 78:66 დაწინაურებულიყო.

ერთ წუთში ჩვენებმა 6 ქულა კი გააბათილეს, მაგრამ ამსტერდამელები იმის ჩიტები არ იყვნენ, მოგება ხელიდან გაეშვათ. საბოლოოდ რუსთაველები 10 ქულით დამარცხდნენ და 6 ნოემბერს ამსტერდამში გასამართი მატჩი ფორმალობად იქცა.

**ირაკლი ბერტაია**

## ჭადრაკი

# რუსებმა სომხებთან გაილაღეს

**ევროპის** გუნდური ჩემპიონატის მეორე ტურში რუსებმა ოლიმპიური ჩემპიონი სომხები 2,5:1,5 დაამარცხეს და 4 ქულით მეხუთე პოზიციაზე მოკალათდნენ. პირველ ადგილზე სლოვენიის ნაკრებია. მათ რუსებივით ოთხი ქულა აქვთ, თუმც პირადულ მაჩვენებლებში 7 ქულა უწერიათ და ცხრილს ყოჩობენ.

პირველ ტურში ისლანდიასთან 3,5:0,5 მოგების შემდეგ, ქართველებმა დანიასთან 1,5:2,5 წააგეს და მე-14 ადგილზე ჩამოქვეითდნენ. პირველ დაფაზე შავი ფიგურებით მოთამაშე ბადურ ჯობავამ დაძაბული ბრძოლა გაუმართა პეტერ ჰეინე ნილსენს, თუმც ვერაფერი გააწყო და მე-60 სვლაზე დამარცხდა. დარჩენილი სამი პარტია კი ყაიმით დასრულდა და ჩვენებმაც მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს. მეორე დაფაზე თეთრებით თამაზ გელაშვილი სუნ ბერგ ჰანსენს დაუზავდა, მესამეზე შავებით ლევან ფანცულაია — ლარს შანდორფს, ხოლო მეოთხეზე მერაბ გაგუნაშვილი თეთრებით — კარსტენ რ[illegible]სმუსენს.

რუს მამაკაცებს არც რუსი ქალები ჩამორჩნენ, მეორე ტურში მათაც სომხეთის გუნდს სძლიეს 2,5:1,5 და ოთხი ქულით მეოთხეზე ახტნენ. აქ კი ცხრილს ოთხქულიანი პოლონეთი ლიდერობს, რადგანაც პირადულ მაჩვენებლებში ყველაზე მეტი 7,5 ქულა უწერია.

იმარჯვა საქართველოს ნაკრებმა. ჩვენებმა ესტონელებს მოუგეს 2,5:1,5 და ოცდაათგუნდა ცხრილში მე-16 ადგილზე არიან. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძე თეთრი ფიგურებით მონიკა ცოგანოვას დაუზავდა, მეორეზე კი ნინო ხურციძე შავებით — ტატიანა ფომინას. მესამე დაფაზე თეთრებით ნანა ძაგნიძემ რეჯინა ნარვასთან იმარჯვა და გუნდს მოსაგები ქულა შესძინა.

ძაგნიძემ ლაზიერის გამბიტით დაიწყო პარტია და დებიუტში ფლანგების განვითარებას შეუდგა. მე-12 სვლაზე ესტონელმა პაიკით შეუტია ჩვენებურს. ნანამ ადვილად უკუაგდო მოწინააღმდეგე, საპასუხოდ მძიმე ძალებით დაარტყა და 45-ე სვლაზე დაამარცხა.

ყაიმით დასრულა შეხვედრა მეოთხეზე მოთამაშე მაია ლომინეიშვილმა. შავი ფიგურებით მოასპარეზე ქართველმა ვიქტორია ბაშკიტს გაუყო ქულა.

**ლუკა გეგეჭკორი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| 1. სლოვენია | 4(7) |
| 2. ჰოლანდია | 4(6,5) |
| 3. ზერბაიჯანი | 4(6,5) |
| 4. სერბეთი | 4(6) |
| 5. რუსეთი | 4(6) |
| ... | |
| 14. საქართველო | 2(5) |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. პოლონეთი | 4(7,5) |
| 2. უნგრეთი | 4(7) |
| 3. ბულგარეთი | 4(6,5) |
| 4. რუსეთი | 4(6) |
| 5. საფრანგეთი | 4(5) |
| ... | |
| 16. საქართველო | 2(4) |

ხელბურთი

# შოთა თევზაძე: ხელბურთი ქართული სპორტია

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა „ჩელენჯ ტროფის" რომ მოიგო და ევრო-2008 წლის მსვლელობის დროს ლუქსემბურგთან ფინალური შეხვედრის უფლება დაიბევა, უკვე იცით. თბილისური ტურნირის მერე ლეგიონერებმა საკუთარ კლუბებს მიაშურეს, ადგილობრივები კი აქ დარჩნენ. ნაკრების წარმატებაში თავისი წვლილი ყველამ შეიტანა, თუმცა ისეთებიც იყვნენ, რომლებიც გამორჩეულად გაისარჯნენ და ამას გუნდისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი შოთა თევზაძეა, ვინც გადამწყვეტ შეხვედრაში მოლდოვასთან შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვების მოპოვებაში ლომის წილი დაიდო. შოთას ნაკრების გარდა საკლუბო ამბებზე და სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ**



— სამივე მოწინააღმდეგეზე მწირი ინფორმაცია გვქონდა. აზერბაიჯანზე თუ კიდევ რაღაც ვიცოდით, მოლდოვას ფაქტობრივად არ ვიცნობდით. ამიტომაც გაგვიჭირდა მათი დამარცხება. მართალა არ გვეგონა, ამხელა წინააღმდეგობას თუ გაგვიწევდნენ. თან ფსიქოლოგიური მომენტიც იყო, რთულია სპორტის სასახლეში თამაში. ქართველი ქომაგი მხოლოდ მოგებას ითხოვს. უკან დასახევი გზა არ გვქონდა, აუცილებლად უნდა გვეჯობნა სტუმრებისთვის. მიხარია, რომ გავიმარჯვეთ, კმაყოფილი ვარ გუნდის გამოსვლითაც. მართალია, გარი თურქია და ლევან ტალახაძე ვერ დაგვეხმარნენ, მაგრამ იმ ხალხმა, რომელიც შეიკრიბა, მაქსიმუმი გაიღო გამარჯვებისთვის. აქვე მინდა, ვთქვა განახლებულ სპორტის სასახლეზე, სადაც მშვენიერი ატმოსფერო სუფევდა. ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია სპორტსმენისთვის.

**— მოლდოვასთან პირადად თქვენ ფანტასტიკურად ითამაშეთ და 25 ბურთიც მოიგერიეთ. თამაშიც წაგივიდათ, თუ განსაკუთრებული მოტივაციის გამო გქონდათ ასეთი კარგი შედეგი?**

— სპორტი ისეთია, ხან წაგივა თამაში, ხან — არა. მაგრამ მოლდოვასთან უბრალოდ ცუდად თამაშის უფლება არ მქონდა, უნდა მოგვეგო.

**— ფინალში ლუქსემბურგი გველის, მათზე რას გვეტყვით?**

— მათზეც ცოტა ინფორმაციას ვფლობთ, თუმცა ამჯერად დრო მეტი გვაქვს მეტოქის შესასწავლად. იანვარში ლეგიონერები ცოტა ადრე მოახერხებენ ჩამოსვლას იმის გამო, რომ ჩემპიონატებში შესვენება ექნებათ და ჩვენც უკეთ მოვემზადებით. იმედი მაქვს, გავიმარჯვებთ.

**— საქართველოს ჩემპიონატზეც ვთქვათ, უშუალო კონკურენტ „თბილისს" ორჯერ კი მოუგეთ, მაგრამ ყველაფერი მაინც პლეი ოფში უნდა გაირკვეს, რა იქნება გადამწყვეტი ამ დაპირისპირებაში?**

— თუ ტიტე კალანდაძემ ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და „თბილისის" დახმარება შეძლო, მაშინ ეს ძალებს საგრძნობლად გაათანაბრებს. ტიტეს თამაში ჩემპიონატისთვისაც კარგი იქნება, ქომაგი უფრო თვალსასეირო შეხვედრებს ნახავს, თუმცა ჩვენ ყველა შემთხვევაში ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— სეზონის ბოლოს საზღვარგარეთ კარიერის გაგრძელებას თუ გეგმავთ და ამ ეტაპზე თუ გაქვთ რეალური შემოთავაზებები?**

— თურქეთის ერთ-ერთი კლუბი ახლაც მიწვევს, თუმცა იქიდან წამოვედი და არა მგონია, უკან დავბრუნდე. კარგი ვარიანტი მაქვს რუმინეთიდანაც და შეიძლება, იანვრის შესვენების დროს იქ გადავიდე. ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ მაქვს.

**— თურქეთი ვახსენეთ და ბარემ ისიც გვითხარით, იქაურმა მედიამ საუკეთესო მეკარედ რომ გცნოთ თურქული ხელბურთის ისტორიაში...**

— კი, ასე იყო. ადგილობრივმა მედიამ საუკეთესოდ დამასახელა, რაც ჩემთვის დიდი პატივია. იქ მართლაც კარგ პირობებში მიწევდა თამაში. ძალიან სწყდებათ გული, რომ წამოვედი და ახლაც აქვთ ჩემი დაბრუნების იმედი...

**— თქვენს დუბლიორებზე, კორნელი ანდრიაძეზე და გაგა სამყურაშვილზე რას გვეტყვით. საერთოდაც, როგორი თაობა მოდის?**

— კარგი ბიჭები არიან. ორივე ძალიან ნიჭიერია და ბევრს თუ იმუშავებენ საკუთარ თავზე, წარმატებაც მოვა. ერთ-ერთი აუცილებლად ჩემი შემცვლელიც უნდა გახდეს.

ისე კი, მართლაც კარგი თაობა წამოვიდა. გარი თურქია რომ ჩამოვიდა და ბიჭები ნახა, გაოცებული დარჩა. რაც მთავარია, ეს სპორტი ქართულ გენებშია, ჩვენ შეგვიძლია ხელბურთის თამაში.

**ლექსო მაისურაძე**

ჭიდაობა

# ხვავრიელი მოსავალი

**სეზონის** ბოლოა და ბევრ სახეობაში უკვე წლის განმავლობაში მოპოვებულ ჯილდოებს ითვლიან. ვის როგორ, და მოჭიდავეებს დასათვლელი სხვებზე მეტი რომ აქვთ, ყველას მოგეხსენებათ. გუშინ საერთაშორისო ტურნირებიდან თბილისში ორი ქართული ჯგუფი დაბრუნდა და საჭიდაო ყულაბაში კიდევ 18 მედალი ჩაჩხრიალდა.

გასულ უქმეებზე თავისუფალი სტილის მიმდევრებმა სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირი სომხეთში ჩაატარეს. სარგის სარგისიანის მემორიალზე საქართველოს ნაკრები რამდენიმე გამოცდილი მოჭიდავის გარეშე, მაგრამ გაფართოებული შემადგენლობით ჩავიდა და ხუთი ჩვენებური სამეულშიც მოხვდა. ჩემპიონი ვერც ერთი ვერ გახდა. ყველაზე ახლოს მიზანთან ბელდუხ გავაშელი (96კგ) იყო, რომელმაც ფინალი წააგო და ვერცხლს დასჯერდა, კობა კაკალაძემ (66კგ), ალეკო პატარქალიშვილმა (74კგ), გიორგი გოგშელიძემ (96კგ) და დავით მოძმანაშვილმა (+120კგ) კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

უფროსებზე ბარაქიანი უქმეები მოიწყვეს ახალგაზრდებმა. სტამბოლში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ორივე სტილის მოჭიდავეებმა ერთად 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი მოინაგრეს. ინფორმაცია გუშინ თურქეთიდან დაბრუნებულმა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა ომზარ შოშიტაშვილმა მოგვაწოდა.

„სტამბოლში ძალიან ძლიერი ტურნირი ჩატარდა. ხალიჩაზე 14 ქვეყნის მოჭიდავეები გავიდნენ. მათ შორის რუსები, ირანელები, უკრაინელები და რაღა თქმა უნდა, თურქები, რომლებმაც თითო წონაში ხუთი ახალგაზრდა დააყენეს. ბერძნულ-რომაულშიც და თავისუფალშიც მეორე გუნდური ადგილი დავიკავეთ. ვლადიმერ ადეიშვილის შეგირდებმა ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და ჯამში მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ. ხოლო ორი ოქროსა და ექვსი ბრინჯაოს მომგებ ნუგზარ სხირელის გუნდს რუსეთმა ერთადერთი ქულით გაუსწრო" — გვითხრა ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა.

**ოთარ გალლაკელიძე**

ფრენბურთი

## გაირკვა საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მეტოქეები 2008-2009 წლების ევროპის ჩემპიონატის პირველ და მეორე რაუნდში

**ლუქსემბურგში,** სადაც განთავსებულია ევროპის ფრენბურთის კონფედერაცია, ჩატარდა 2008-2009 წლების ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა. საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მეტოქე პირველ რაუნდში იქნება ჩერნიგორიის ეროვნული ნაკრები. პირველი მატჩი 8 მაისს ჩერნიგორიაში გაიმართება, ხოლო საპასუხო 11 მაისს საქართველოში. გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები მოხვდება A ჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან თურქეთის, საბერძნეთისა და ისრაელის ეროვნული ნაკრებები. ჯგუფური ეტაპი ტურობრივად ჩატარდება. პირველი ტური 6-8 ივნისს ისრაელში გაიმართება, მეორე კი 13-15 ივნისს საბერძნეთში.

ამ დღეებში მიმდინარეობს საქართველოს 2007-2008 წლების ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის გათამაშება, რომელსაც დუშეთი მასპინძლობს. ჩემპიონატში 6 გუნდი მონაწილეობს და პირველი წრე 2 ნოემბერს დამთავრდება.

**საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია**

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

29 ოქტომბერი

**რეინჯერსი 3:1 ტამპა**

1:0 0:1 2:0

1:0 დოუსი (8), 1:1 ლეკავალიე (27), 2:1 იაგრი (51), 3:1 შენაჰენი (54)

**ტორონტო 1:7 ვაშინგტონი**

1:4 0:2 0:1

0:1 გორდონი (4), 1:1 პონიკაროვსკი (4), 1:2 პეტინგერი (6), 1:3 ოვეჩკინი (12), 1:4 შულცი (14), 1:5 ბრედლი (29), 1:6 ოვეჩკინი (32), 1:7 სატერბი (47)

**დალასი 2:4 სან ხოსე**

1:1 1:0 0:3

1:0 რიბეირო (11), 1:1 პაველსკი (13), 2:1 ნისკანენი (26). 2:2 სეტოგუჩი (52), 2:3 სეტოგუჩი (55), 2:4 ბერნიე (55)

# ლაბარბერას კვირა




**ალბათ** უკვე აღარავის უკვირს, რომ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად ისევ და ისევ მეკარე დაასახელეს. ისე, უკანასკნელ წლებში ნჰლ-ში კიპერებს დიდი დაფასება აქვთ — თუნდაც ის რად ღირს, რომ კვირისა თუ თვის გამორჩეულ ჰოკეისტებში, ლამის ყოველი მეორე კარის დარაჯია.

ამჯერად ეს პატივი „ლოსანჯელესელ" ჯეისონ ლაბარბერას ერგო, რომელმაც თავის გუნდს სამიდან სამივე შეხვედრა მოაგებინა. „მეფეების" სისტემაში წლების განმავლობაში ჩაკარგული ეს მეკარე ამ სეზონში ჯერჯერობით მშვენივრად გამოიყურება და ეტყობა, ძირითადში ადგილიც გაინაღდა. წინა კვირას კი ლაბარბერა საშუალოდ, ოდენ 0,67 შაიბას უშვებდა და დარტყმათა 97,6 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავად „კაროლინას" ვეტერანი კაპიტანი როდ ბრინდამორი დაასახელეს, რომელსაც წინა შვიდდღეულში ვერავინ აკავებდა. „ქარიშხლების" კაპიტანმა მთელ ლიგაში საუკეთესო, 9 ქულა (5+4) მოინაგრა, „ნიუ იორკ აილენდერსთან" შეხვედრაში სულაც ჰეთ თრიქი შეასრულა, რაც კარიერაში მესამედ მოახერხა.

მესამე ვარსკვლავობა „ვაშინგტონის" ახალგაზრდა ლიდერ ალექსანდრ ოვეჩკინს ერგო, რომლის ანგარიშზეც გასულ კვირაში 7 ქულა (2+5) იყო.

**კახა ლომჯაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ლუის ჰემილტონი: ნეტავ, მალე დაიწყოს ახალი სეზონი

**შავკანიანმა ინგლისელმა მეფორმულემ ლუის კარლ ჰემილტონმა ზღაპრული სადებიუტო ჩემპიონატი ჩაატარა. თავის პირველივე სეზონში რეკორდების გროვა დააყენა და ბოლო ორ ეტაპზე ძნელად დასაჯერებელი ხელმოცარვა რომ არა, „სამეფო რბოლების" გვირგვინსაც მოიპოვებდა. თუმც პირველივე წელს ვიცეჩემპიონობაც გაუგონარი მიღწევაა. 2007 წლის საპირველფორმულო სეზონის „ფანტასტიკურ აღმოჩენას" გერმანულმა „ბილდ ამ ზონტაგმა" მეტად საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა**



**ლუის ჰემილტონისთვის მამა შეუცვლელი მენეჯერია**

**— ბევრს შურს თქვენი. ახალგაზრდა, წარმატებული ხართ, ზოგი სექსსიმბოლოდაც კი გთვლით.**

— სექსსიმბოლო? ასე, მგონი, წინათ მომღერლებს ეძახდნენ. მოდით, მაგალითი მოვნახოთ...

**— ფრენკ სინატრა?**

— ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. ვინმე ბევრად უფრო თმაგაბურძგნულია საჭირო, სწორედ სიმღერით „სექს-ბომბ"...

**— ტომ ჯონსი?**

— ზუსტად. ამრიგად, თუ ის სექსსიმბოლოა, მაშინ ჯობს, მე არავინ არ ვიყო.

**— თქვენ კინაღამ მოიგეთ ტიტული...**

— იცით, მოუთმენლად ველი მომენტს, როცა ისევ მივუჯდები საჭეს. დებიუტი კარგი გამოვიდა, ბევრი ვისწავლე და მინდოდა, წარმატება ტიტულით განმემტკიცებინა. კიდევ არის შანსი, გავხდე ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი.

**— თქვენ სეზონის ფინალურ რბოლაში შეცდით...**

— დიახ, სტარტზე.

**— მერვე წრეზე თქვენი მანქანა პრაქტიკულად გაჩერდა...**

— ტექნიკური პრობლემა იყო, ნეიტრალური გადაცემა ჩაირთო, თუმც ინდიკატორები მეოთხე სიჩქარეს უჩვენებდა. მანქანა მართლაც თითქმის გაჩერდა, მერე კი ყველაფერი მოწესრიგდა.

**— სეზონი უკან დარჩა, წინ შვებულებაა?**

— შვებულება? ერთი დღე! მინდა, რაც შეიძლება, სწრაფად დავუბრუნდე მანქანას. ნოემბრის შუა რიცხვებში ბარსელონაში ტესტები მოეწყობა. ნეტავ, მალე დაიწყოს ახალი სეზონი.

**— რომელშიც თქვენი პარტნიორი შეიძლება, ისევ ფერნანდო ალონსო იყოს, ან ახალი ჩემპიონი — კიმი რაიკონენი...**

— კიმი „ფერარიში" დარჩება. ისე ჩემთვის სულერთია, ვინ ირბოლებს მეორე მანქანით. ნებისმიერ შემთხვევაში გუნდის პარტნიორებს შორის მწვავე კონკურენცია იქნება. ეს ჩვეულებრივია.

**— ვის თვლით იდეალურ მეწყვილედ?**

— ჩემს ძმას, ნიკოლასს.

**— რას ნიშნავს თქვენთვის იგი?**

— ის ჩემი საუკეთესო მეგობარია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მაგალითად — მარტივად შევხედო პრობლემებს. მისთვის მე ჩემპიონი გავხდი და ეს გრძნობა ძალიან დამეხმარა ბრაზილიაში გულგატეხილობის დაძლევაში.

**— თქვენ ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით, უოკინგში ცხოვრობთ. დრო არ მოვიდა, მონაკოში, ავსტრიაში ან შვეიცარიაში გადახვიდეთ?**

— შვეიცარია, ცხადია, კარგია, იქ თოვლი იცის, მაგრამ მე ლონდონი მიყვარს, სადაც არიან ჩემი მეგობრები. აქ შესანიშნავი რესტორნები და კლუბებია.

**— და წარმოუდგენელი გადასახადები...**

— ამას მენეჯერებმა მიხედონ. მე სხვა პრობლემა მაქვს — ნაბიჯს ვერ ვდგამ პაპარაცების გარეშე. საკმარისია, მეგობართან და მის ქალიშვილთან ერთად კინოში წავიდე, რომ დილით უკვე სათაურებია: „ჰემილტონს ახალი გოგონა ჰყავს".

**— ჰო, ეს უსიამოვნოა...**

— ვცდილობ, თავაზიანი ვიყო, ავტოგრაფებზე უარი არ ვთქვა, მაგრამ ბრაზილიაში მშვიდად ჭამის საშუალებაც კი არ მქონდა.

**— ეს დიდების საფასურია?**

— დიდების საფასური ოც საუკეთესო მრბოლს შორის ადგილია და არა პირადი ცხოვრების წართმევა. თუმც სხვა მხრივ ყველაფერი მაწყობს.

**— გოგოები, რა თქმა უნდა, გწერენ...**

— კარიერაში ორი თუ სამი სასიყვარულო წერილი მივილე და ერთადერთი წინადადება. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ფორმულა 1-ის გარშემო ტრიალებს, იქ ნამდვილად არაა სიყვარულისთვის ადგილი.

**— არ გეშინიათ დაიმტვრეთ, ან... ტრაგედიით დასრულდეს ყველაფერი?**

— ამაზე არ ვფიქრობ. საშიშროება, ადრენალინი — ეს სასიამოვნოა. ერთნი ტრასაზე რბოლობენ, სხვები ცათამბჯენებიდან პარაშუტით ხტებიან. ამასთან, ფორმულა 1-ში უსაფრთხოების წარმოუდგენლად მაღალი სტანდარტებია

**— თქვენთვის სამაგალითო აირტონ სენაა?**

— დიახ, და ბრაზილიაში ამაზე ბევრიც ვილაპარაკე. მუჰამედ ალი ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო სპორტსმენია, ხოლო სენა — საუკეთესო მრბოლი.

**— იგი უკეთესია, ვიდრე მიხაელ შუმახერი?**

— ძნელია მათი შედარება, მაგრამ საჭირო რომ ყოფილიყო ნიძლავის დადება, ფულს აირტონზე ჩავიდოდი.

**— სამოქალაქო გზებზე როგორ იქცევით?**

— არ მიყვარს ნერვიული და უზრდელი მძღოლები. არ მიყვარს, როცა ვინმე სისწრაფეში შეჯიბრებას იწყებს.

**— ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?**

— არაკორექტულობა, [illegible] თავხედობა.

**— ვიცით, რომ თქვენი დრო შეზღუდულია, ამიტომ ბლიცს გთავაზობთ: მოკლე შეკითხვა, მოკლე პასუხი. გაგიგიათ ანგელა მერკელი?**

— ანგელა, ვინ?

**— გერმანიის ფედერალური კანცლერი...**

— კი, ერთხელ ვნახე ტელევიზორში.

**— პირადად იცნობთ დედოფალს?**

— მე იგი 2004 წელს „მაკლარენის" ბაზაზე ვნახე, მაგრამ არ მილაპარაკია. პრინცმა ჩარლზმა რაღაც მკითხა 1999 წელს, როცა კარტინგში გამოვდიოდი.

**— დაძაბულობას როგორ იხსნით?**

— შინ, ოჯახში, ვუკრავ გიტარაზე.

**— ვისთან ისურვებდით ერთი თვით ხელფასის გაცვლას?**

— არავისთან.

**— არც რონ დენისთან?**

— მე მსოფლიოში საუკეთესო ხელფასი მაქვს.

**— ტელევიზიით რის ყურება გიყვართ?**

— კომედიების.

**— საყვარელი კომიკოსი?**

— ედი მერფი.

**— ფორმულა 1-ში დებიუტის შემდეგ თქვენი ყველაზე ძვირფასი შენაძენი...**

— ჯერაც არაფერი მიყიდია. არა, რაღაც ვიყიდე — მანქანა მამაჩემისთვის.

**— ალბათ „მერსედესი".**

— რა თქმა უნდა — CL63AMG.

**— ის თითქმის 150 ათასი ევრო ღირს, თქვენ შეღავათი გაგიწიეს?**

— დიახ, მაგრამ მაინც გვარიანად მომიწია გადახდა.

**— მამა მომავალშიც იქნება თქვენი მენეჯერი?**

— იმდენ ხანს, რამდენიც მას მოესურვება. იგი საუკეთესოა.

**— საყვარელი კომპიუტერული თამაში?**

— რბოლები „ფლეისთეიშენზე".

**— და რა ჰქვია „მაკლარენში" თქვენს ვირტუალურ მეწყვილეს?**

— კიმი რაიკონენი.

# წითელი ზეიმი და ახალი ქუჩა

**პირობითად,** ჯერ საბოლოო არაა წლევანდელი საპირველფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები, რადგან 15 ნოემბერს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის სააპელაციო სხდომაზე „მაკლარენ-მერსედესის" პროტესტი უნდა განიხილონ. თუმც, საერთო აზრით, ეს მხოლოდ ფორმალობა იქნება და „ფერარის" ფინელ პილოტ კიმი რაიკონენს „სამეფო რბოლების" გვირგვინს ოფიციალურად დაუდასტურებენ.

ამასობაში კი, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ არაფერი შეიცვლება, ყველა თავისებურად აღნიშნავს მარათონული სეზონის დასრულებას. ფერარელებმა ეს თავიანთ ბაზაზე — მუჯელოში ჩაატარეს, სადაც 30 000 ფანი შეიკრიბა იტალიის ეროვნული სიამაყის სარეკორდო, მე-15 ტრიუმფის აღსანიშნავად. თანაც ეს ღონისძიება დაემთხვა ლეგენდარულ კომენდატორე ენცო ფერარის მიერ დაარსებული გუნდის 60-წლიან იუბილეს.

„სკუდერია-ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო, ვიცე-პრეზიდენტი პიერო ფერარი, გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი, მრბოლები — კიმი რაიკონენი, ფელიპე მასა, ლუკა ბადოერი, მარკ ჟენე მილოცვებსაც იღებდნენ და თავადაც ულოცავდნენ ყველას, ვინც საერთო გამარჯვებაში წვლილი შეიტანა და წითელი ბოლიდებით სხვა ავტოკატეგორიებშიც წარმატებას მიაღწია.

ლუკა დი მონტეძემოლო: „მინდა, კიმის ბრწყინვალე გამარჯვება მივულოცო, „ფერარის" მართლაც საუკეთესო მრბოლები ჰყავს და ორმაგი წარმატება — პირადი ტიტული და კონსტრუქტორთა თასი — ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ასევე მსურს, ბერნი ეკლსტოუნს დაბადების დღე მივულოცო (28 ოქტომბერს 77 წლის გახდა), პატივისცემა გამოვხატო ავტოფედერაციის პრეზიდენტ მაქს მოსლის მიმართ, თუმც უპირველესად დღეს იმით ვამაყობ, რომ „ფერარის" მებრძოლი სული და შემოქმედებითი პოტენციალი კვლავ ძლიერი აღმოჩნდა ვითარებაზე".

22 წლის ინგლისელი დებიუტანტი ლუის ჰემილტონი დასკვნით, ბრაზილიურ ეტაპამდე გენერალურ კლასიფიკაციაში ყველაზე წინ კი იყო, მაგრამ ლამის მოპოვებული ტიტული სან პაულუში უხეირო შედეგის (მეშვიდე ადგილი) გამო დაკარგა, მაგრამ, ცხადია, იხტიბარს არ იტეხს, ჩემი დრო უახლოეს მომავალში დადგებაო.

ჰემის მშობლიურ პატარა ქალაქ სტივენეიჯში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს. ქუჩა ახალია, ასე რომ, გადარქმევა არ მომხდარა, უბრალოდ, ჰარტფორდშირის ამ პროვინციაში „ლუის ჰემილტონ სტრიტი" გაჩნდა. ქალაქის მერი შერონ ტეილორი: „ლუისის წარმატებების შედეგად მთელმა მსოფლიომ ყურადღება მიაქცია ჩვენს პატარა ქალაქს. ვამაყობთ, რომ ჰემილტონი აქ დაიბადა, იგი ახალგაზრდობისთვის ჩინებული მაგალითია. ახლა ყველამ იცის, რომ თუკი თავდაუზოგავად იმუშავებ და მწვერვალისკენ მისწრაფება გექნება, წარმატების მოპოვებას შეძლებ".

პაპარაცებისგან გაწამებულმა ჰემილტონმა ინგლისის დატოვება გადაწყვიტა და საცხოვრებლად მშვიდ შვეიცარიაში გადადის.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აბულელიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge